

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი



სტუდენტი: გვანცა თაბუკაშვილი  
თემის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლავრენტი მაღლაკელიძე  
თემის სათაური:  
თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრობლემები  
სისხლის სამართალში

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

თბილისი  
2019 წელი

## სარჩევი

1. შესავალი .....	3
2. ძირითადი ნაწილი .....	4
2.1. კანონმდებლობის ანალიზი .....	4
2.2. თანამონაწილეობის ცნება .....	6
2.2.1. თანამონაწილეობის ობიექტური მხარე.....	8
2.2.2. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე .....	11
2.2.3. მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში .....	13
2.2.4. ბრალი თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში .....	15
2.3. თანამსრულებლობის ცნება.....	18
2.3.1. თანამსრულებლობის ობიექტური მხარე .....	22
2.3.2. თანამსრულებლობის სუბიექტური მხარე.....	23
2.3.3. მიზეზობრივი კავშირი თანამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულში....	24
2.3.4. ბრალი თანამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულში .....	26
2.4. ამსრულებლის ექსცესი .....	28
2.5. თანამსრულებლობითა და თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობის საფუძველი.....	29
2.6. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.....	33
2.7. თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის საკითხი სხვა ქვეყნების სამართალში.....	38
2.8. თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემის მნიშვნელობა ქართულ სისხლის სამართალში.....	45
2.9. პრობლემის გადაჭრის გზები .....	52
3. დასკვნა .....	55
აბრევიატურა: .....	58
ბიბლიოგრაფია .....	59

## 1. შესავალი

თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი მეტად აქტუალური და პრობლემურია არა მხოლოდ ქართულ, არამედ სხვა ქვეყნების სისხლის სამართალშიც. საკითხის აქტუალურობაზე მიუთითებს არაერთ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რაც ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომშიც იქება განხილული. სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვისას იკვეთება ყველაზე კარგად თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ცნების გამიჯვნის პრაქტიკული პრობლემები.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცნებების გამიჯვნა აუცილებელია იმისათვის, რომ თითოეული ქმედებისათვის მოხდეს პირის პირადი პასუხისმგებლობა, სწორედ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მან განახორციელა ესა თუ ის ქმედება, ვინაიდან, თუ არ მოხდება აღნიშნული ცნებების სათანადო გამიჯვნა, ამან შესაძლოა საბოლოოდ მიგვიყვანოს შედეგამდე, როდესაც კონკრეტულ ქმედებაში, ერთი და იგივე სახის პასუხისმგებლობა დაეკისროს ორ პირს, მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული სიმძიმის ქმედებები განახორციელეს.

თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრობლემას პირდაპირი კავშირი აქვს სასჯელთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის განსხვავდება სასჯელი ქმედებისათვის, სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარეა, მნიშვნელოვანია რომ ზუსტად განისაზღვროს პირის მიერ ჩადენილი ქმედების ხარისხი რათა დაწესდეს შესაბამისი სასჯელი ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიება. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია სასჯელის მიზნის მიღწევასთან რომელზეც საუბარია სსკ-ის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, კერძოდ: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ცხადია წარმოუდგენელია საუბარი სასჯელის მიზნის მიღწევასა და სამართლიანობის აღდგენაზე, მაშინ, როდესაც არ გვაქვს პირის/პირთა მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისი კვალიფიკაცია.

სხვადასხვა ლიტერატურაში გავრცელებულია არაერთგვაროვანი მოსაზრებები და თეორიები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ინტენსივობით უნდა ახორციელდეს პირი ქმედების შემადგენლობას, რომ სახეზე იყოს თანაამსრულებელი და არა თანამონაწილე. მათ გასამიჯნად კი აქცენტი კეთდება რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებსაც წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილავთ.

## 2. ძირითადი ნაწილი

### 2.1. კანონმდებლობის ანალიზი

თანაამსრულებლობასა და თანამონაწილეობის გამიჯვნასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის ანალიზი უნდა დავიწყოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 თავით, რომელიც განმარტავს დანაშაულის ამსრულებლობას, თანამონაწილეობას, თანამონაწილის სახეებს და ამსრულებლის ექსცესს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამავე თავში საუბარია თანამონაწილისა და თანაამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. ის ფაქტი, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხი კოდექსში დამოუკიდებლად არის გამოყოფილი, მეტად საინტერესო არგუმენტია იმის თვალსაჩინოებისთვის, რომ თანამონაწილისა და თანაამსრულებლის ცნების გამიჯვნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, სწორედ აღნიშნული მუხლი გვაძლევს საფუძველს, იმის დასადგენად, თუ რამდენად დიდი განსხვავებაა, თანამონაწილისა და თანაამსრულებლის პასუხისმგებლობას შორის, ვინაიდან აქ საუბარია, როგორც სპეციალურ ნიშანზე, ასევე დანაშაულის სპეციალურ სუბიექტზე.

კერძოდ, სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 22-ე მუხლი). ცხადია, ამ საკითხთან მიმართებით უფრო ვრცლად მომდევნო ნაწილებში ვისაუბრებთ, თუმცა საწყის ეტაპზე უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლის დეფინიციაში, კერძოდ ის, რომ ამსრულებლის განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილებულია პირზე, რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული. რაც შეეხება წინადადების მეორე ნაწილს, აქ საუბარია

შუალობით ამსრულებელზე რომელზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ უფრო დეტალურად.

კანონმდებლობის ანალიზისას, მეტად საინტერესოა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების ე.წ. „რომის სტატუტი“ 25-ე მუხლი, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალობას, აღნიშნული წესდების შესაბამისად სასამართლო იურისდიქციას ახორციელებს ფიზიკურ პირებზე, განსაზღვრავს, სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის წესს და მიუთითებს რომ იგი დაისჯება ინდივიდუალურად, აღნიშნული მუხლის შესაბამისად სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენი პირი, ამ წესდების შესაბამისად, სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს და დაისჯება, თუ ეს პირი: ა) ჩაიდენს აღნიშნულ დანაშაულს პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა; (ბ) უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, რომელიც ფაქტიურად დამთავრდა ან რომლის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი; (გ) აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს მის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას, მათ შორის მისი ჩადენისთვის საშუალებათა მიწოდებით; (დ) სხვაგვარად ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედი პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას. ასეთი ხელის შეწყობა უნდა იყოს განზრახი და: (ი) მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუ ასეთი მიზანი ან საქმიანობა მოიცავს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენას; ან (იი) ხორციელდებოდა იმის წინასწარი შეცნობით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას. (ე) გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში, პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვებს გენოციდის დანაშაულის ჩასადენად; (ფ) ეცდება აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ისეთი მოქმედებით, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართულ მნიშვნელოვან ღონისძიებას, თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი პირის მიზნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამასთან, პირი, რომელიც უარს იტყვის დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე ან სხვაგვარად ხელს შეუშლის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, არ დაისჯება დანაშაულის

მცდელობისთვის ამ წესდებით, თუ იგი სრულად და ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულებრივ განზრახვაზე.<sup>1</sup>

ვინაიდან აღნიშნული ნაშრომი, შეეხება თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემას, როგორც ქართულ ასევე სხვა ქვეყნების სამართალშიც, ქართულ კანონმდებლობასთან ერთად მეტად მნიშველოვანია მიდგომა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მიხედვით, სადაც საუბარია ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე და შემთხვევაზე, როცა პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დგება.

## 2.2. თანამონაწილეობის ცნება

დანაშაულში თანამონაწილეობაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა მნიშველოვანია დეტალურად შევხვით სსკ-ის 23-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში(სსკ-ის 23-ე მუხლი). საყურადღებოა ერთი ფაქტი, კერძოდ, ისევე როგორც თანაამსრულებლობისას, თანამონაწილეობის შემთხვევაშიც საჭიროა სახეზე გვყავდეს ერთზე მეტი პირი, თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარი განმასხვავებელი არის პირის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათი, ანუ სახეზე გვყავს თანამონაწილის სამი სახე: ეს არის ორგანიზატორი, ანუ პირი, რომელმაც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. თანამონაწილის შემდეგი სახეა წამქეზებელი, ანუ პირი, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად, ხოლო დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. ანუ ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილის მიერ სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელება არ ხდება მთლიანად, კერძოდ ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ თავისი გონებითა და უშუალო მონაწილეობით ახორციელებს, ვერ იქნება დანაშაულის თანამონაწილე. ამ მუხლის დეფინიცია, გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია პირი იყოს თანამონაწილე ჩადენილ დანაშაულში, რაც არ გულისხმობს იმას, რომ მან უშუალოდ ჩაიდინა კონკრეტული ქმედება, სწორედ ამიტომ განსხვავდება

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება მუხლი 25

თანამონაწილისა და თანამსრულებლის მიერ ჩადენილი პასუხისმგებლობა ერთმანეთისგან.

თუმცა, თანამონაწილეობის ცნების გაანალიზებისათვის მხოლოდ აღნიშნული მუხლი არ არის საკმარისი, ვინაიდან როგორც უკვე აღვიშინეთ აღნიშნული ცნება პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად არის განსჯის საგანი. ამასთან გასათვალისწინებელია დოქტრინაში გამოთქული მოსაზრებები.

თანამონაწილეობა ზოგადად რამდენიმე პირობის არსებობას გულისხმობს, კერძოდ, თანამონაწილეობა ნიშნავს რამდენიმე პირის მონაწილეობას კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში, თუმცა მხოლოდ ის, რომ დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, ცხადია თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულს არ გვაძლევს. არამედ, აღნიშნული ასევე მოითხოვს ამ პირთა ერთობლივ მონაწილეობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ქმედება რაღაც მხრივ უნდა იყოს ერთიანი, ერთიანობაში კი იგულისხმება როგორც ობიექტური მხარის, ასევე სუბიექტური მხარის ერთიანობა.<sup>2</sup>

არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობის რამდენიმე ფორმა. მაგალითად, დანაშაულში თანამონაწილეობა როლების განაწილებით რაშიც იგულისხმება ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე) თუმცა საინტერესოა რომ თანამონაწილეობის ფორმით შეუძლებელია დაკვალიფიცირდეს, მაგალითად, ბანდიტიზმი, ან მასობრივი არეულობა, რადგან ამ სახის დანაშაულში ფაქტობრივი მონაწილეობა იურიდიულად თანამონაწილეობით კვალიფიკაციას არ ექვემდებარება. ბანდაში რიგითი მონაწილე არ არის ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე. იმის მიუხედავად, რომ ბანდაში შეიძლება იყვნენ მეორეხარისხოვანი წევრებიც. ასევე არის მასობრივი არეულობის შეთხვევაშიც, ვინაიდან აქ სახეზეა დანაშაულში ფაქტობრივი მონაწილეობა, ხოლო იურიდიულად საკითხი წყდება სხვაგვარად. მაგალითად, მასობრივი არეულობის მხოლოდ მომწყობი, ხელმძღვანელი, ანდა აქტიური წევრი შეიძლება იქნეს მიცემული სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში.<sup>3</sup>

თანამონაწილეობის ობიექტურ მხარესთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის ქმედებას შორის, მიზეზობრივი კავშირი არის

<sup>2</sup> სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თინათინ წერეთელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2007 წელი, გვ. 11

<sup>3</sup> ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გურამ ნაჭყებია, გვ. 40

ის კომპონენტი, რომელიც აუცილებელია თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის არსებობისათვის.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თანამონაწილეთა პასუხისმგებლისათვის აუცილებელი არ არის მიზეზობრივი კავშირი. გერმანიის საიმპერიო სასამართლოც კი მისდევდა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, არ არის აუცილებელი დამხმარის ქმედება მიზეზობრივ კავშირში იყოს დანაშაულებრივ შედეგთან, იმისათვის რომ იგი დაისაჯოს. კერძოდ, აღნიშნული შეხედულების მიხედვით, მიჩნეულია, რომ დამხმარე უნდა დაისაჯოს იარაღის მიწოდებისათვის, მიუხედავად იმისა, ისარგებლა თუ არა ამ იარაღით ამსრულებელმა.<sup>4</sup>

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე საუბრისას საყურადღებოა ბრალიც. ბრალის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა - თანამონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც არამართო ობიექტურად განაპირობა თავისი მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი, არამედ, აგრეთვე ბრალეულად გამოიწვია იგი.<sup>5</sup>

### 2.2.1. თანამონაწილეობის ობიექტური მხარე

დანაშაულის შემადგენლობას ქმნის ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, აღნიშნული არის ქმედების მართლწინააღმდეგობის წინაპირობა ხოლო მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის შემდეგ გადავდივართ ბრალზე, ხოლო მისი გამომრიცხველი ნიშნების არარსებობის შემთხვევაში კი სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა.

არსებობს დანაშაულის სამსაფეხუროვანი სისტემა, რომელიც შედგება, ქმედების შემადგენლობისაგან, მართლწინააღმდეგობისა და ბრალისაგან. იმისათვის რომ სახეზე იყოს დანაშაული საჭიროა არსებობდეს ქმედების შემადგენლობის სამივე კომპონენტი, ვინაიდან, მხოლოდ ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის არსებობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სახეზე იყოს დანაშაული, არამედ ეს გვადლევს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, სისხლისსამართლებრივი

<sup>4</sup> თინათინ წერეთელი - სისხლის სამართლის პრობლემები ტომი II, გამომცემლობა მერიდიანი 2007 წ. იხ.: გვ. 13.

<sup>5</sup> თინათინ წერეთელი - სისხლის სამართლის პრობლემები ტომი II, გამომცემლობა მერიდიანი 2007 წ. იხ.: გვ 34-35.



პასუხისმგებლობის საფუძველი კი არის არა სისხლისსამართლებრივი უმართლობა, არამედ დანაშაული, რაც გულისხმობს პირის მიერ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენას. თუმცა ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, მოსაზრება, რომელიც გამოხატულია ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, კერძოდ მოსაზრების მიხედვით მიჩნეულია, რომ დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, არასწორია. ვინაიდან, ავტორი მიიჩნევს, დანაშაული, იურიდიული თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ ითვლება ჩადენილად, თუ იგი დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ ამ მომენტამდე პირი, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, არაბრალეულია. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში იმ შემთხვევაში თუ არ დადგინდა სუბიექტური ბრალი ვერ მოხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.<sup>6</sup>

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, გულისხმობს ქმედებას, ქმედებაში თავის მხრივ შესაძლებელია იგულისხმებოდეს, როგორც მოქმედება ასევე უმოქმედობა, შემდეგ დანაშაულებრივი შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, დანაშაულის განხორციელების დრო, ადგილი, ხერხი, საშუალება, ვითარება. ამ მხრივ გამონაკლისი არც თანამონაწილეობაა, თუმცა მნიშვნელოვანია ის თავისებურება რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობას ახასიათებს.<sup>7</sup>

დანაშაულში თანამონაწილეობა, ხორციელდება თანამონაწილეთა აქტიური მოქმედებით. თანამონაწილენი თავიანთი როლების შესაბამისად ახორციელებენ იმ ქმედებებს რაც დამახასიათებელია ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარისთვის. ისევე როგორც სხვა დანაშაულებში, არც თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში არ არის გამორიცხული უმოქმედობა, ეს არის შემთხვევა, როცა ორი ან მეტი პირი ერთობლივად არ ასრულებს მართლზომიერ ქმედების ვალეულებას რაც საბოლოო ჯამში იწვევს მართლსაწინააღმდეგო შედეგს. თუმცა აღსანიშნავია რომ როცა სახეზე გვაქვს თანამონაწილეობა როლების განაწილებით, მისი უმოქმედობის გზით

---

<sup>6</sup> ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გურამ ნაჭყებია, გვ.26

<sup>7</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა **ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016**

ჩადენა შეუძლებელია, რადგან ორგანიზატორის ფუნქცია პირდაპირ გულისხმობს აქტიურ მოქმედებას, ისევე როგორც წამქეზებლის ფუნქცია პირდაპირაა დაკავშირებული აქტიურ წაქეზებასთან ხოლო დამხმარის ფუნქცია პირდაპირ გულისხმობს მინიმუმ წინასწარ დაპირებას ამსრულებლისთვის რომ თავისი ქმედებით ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩადენას.<sup>8</sup>

ამ მხრივ მეტად საინტერესოა, ოთარ გამყრელიძის მოსაზრება, იგი ამბობს რომ დანაშაულში თანამონაწილეობის ობიექტურ მხარეს შეადგენს ერთიანი უმართლობა.<sup>9</sup>

თანამონაწილეთა ქმედების ერთობლიობა გამოხატულებას პოვებს იმაში, რომ თანამონაწილენი დანაშაულის ერთი და იგივე შემადგენლობას ასრულებენ, თუმცა ეს საკითხი სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადავოა. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ დანაშაულის შემადგენლობას ასრულებს მხოლოდ ამსრულებელი და არ ასრულებენ თანამონაწილენი, აღნიშნულს ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეულ კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებულ ნიშნებს მოიცავს და არა აგრეთვე ზოგადი ნაწილის მუხლებით გათვალისწინებულ ნიშნებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები ისეა შედგენილი, რომ მხოლოდ ამსრულებელს გულისხმობს, აქედან გამომდინარე ზოგად ნაწილში კანონმდებელი ითვალისწინებს იმ სპეციალურ ნორმებს, რომელიც აფართოებენ სისხლის სამართლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და აღნიშნული სცდება შემადგენლობის იმ ფარგლებს, რომელიც კონკრეტულ მუხლშია მოცემული.<sup>10</sup>

ეს ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ შესაძლებელია კონკრეტულ დროს მიღებული კანონი არეგულირებდეს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას, თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლებელია წამოიჭრას რიგი პრაქტიკული საკითხი, რომლის შემადგენლობაც უკვე სცილდება კოდექსის კონკრეტულ მუხლში აღწერილ შემადგენლობას, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ კანონმდებლობის ხარვეზად, ვინაიდან

<sup>8</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016, გვ. 270

<sup>9</sup> ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემები და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, სისხლის სამართლის პრობლემები, მეორე გამოცემა, ტომი II, თბილისი 2013, გვ. 274

<sup>10</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი II, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2007 წელი, გვ. 64

შეუძლებელია კონკრეტულად და ზუსტად განისაზღვროს ყველა ის შესაძლო შეადგენლობა რომელსაც ქმედების სუბიექტი განახორციელებს მომავალში.

გარდა იმისა, რომ კანონის განსაკუთრებული ნაწილის მუხლი საჭიროებს შევსებას ზოგადი ნაწილის მუხლებიდან, ხშირად არის შემთხვევა როდესაც, დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშნის შევსება გვიხდება არა მხოლოდ ზოგადი ნაწილის, არამედ კანონის განმარტების მეშვეობით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც იგი არ არის გათვალისწინებული კანონის ანც განსაკუთრებული ნაწილით და არც ზოგადი ნაწილით.

თუ ვამბობთ, რომ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები შესაძლებელია შეივსოს ისეთი ნიშნებით, რომელიც კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით პირდაპირ არ არის განსაზღვრული და მოიპოვება ზოგად ნაწილში, არც ის გარეობაა სადავო, რომ ანალოგიური მეთოდით უნდა მოხდეს შევსება მაშინ, როდესაც დანაშაული არის ჩადენილი თანამონაწილეობით. აქედან გამომდინარე თინათინ წერეთელის მოსაზრებით დანაშაულის შემადგენლობაში შედიან არა მხოლოდ ის ნიშნები, რომლებიც მოცემულია კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში რაც გულისხმობს ამსულებელის მიერ ჩადენილ დანაშაულს, არამედ ისეთი ნიშნებითაც რომელსაც ითვალისწინებს სსკ-ის ზოგადი ნაწილი.<sup>11</sup>

ობიექტური შეადგენლობის კუთხით, ორგანიზატორის საქმიანობა შესაძლებელია შემოიფარგლოს ცალკეული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტით, მაგალითად ჯგუფის შექმნა, გეგმის შედგენა და ა.შ. იგი შესაძლებელია იყოს დანაშაულის ჩადენის ადგილზე და ხელმძღვანელობდეს მას თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ იგი უშუალოდ ქმედების შემადგენლობას არ ასრულებდეს.<sup>12</sup>

წამქეზებლის ობიექტური მხარე კი გულისხმობს სხვა პირის დაყოლიებას დანაშაულის ჩადენაში, ხოლო, ასევე ფსიქოლოგიურ დახმარებაში გამოიხატება დამხმარის, კერძო კი (ინტელექტუალური) დამხმარის ობიექტური მხარე.<sup>13</sup>

### 2.2.2. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე

თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარეზე საუბრისას, აუცილებელია, მოვიშველიოთ სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლები, რომლის მიხედვითაც

<sup>11</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი II, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2007 წელი, გვ.67

<sup>12</sup> ქეთევან მჭედლიშვილი ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011 წელი, გვ. 214.

<sup>13</sup> ქეთევან მჭედლიშვილი ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011 წელი, გვ. 222, 226

დანაშაული შესაძლებელია იყოს განზრახი ან გაუფრთხილებლობითი, თავის მხრივ განზრახი დანაშაული შეიძლება იქნეს ჩადენილი პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით, ხოლო გაუფრთხილებლობითი დანაშაული შესაძლებელია ჩადენილი იქნეს, თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. თითოეული მათგანის განხილვას აქ არ შევუდგებით არამედ, განვიხილათ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს.

განზრახვასთან ერთად სხვა სუბიექტური კომპონენტები მიკუთვნება ქმედების შემადგენლობის ან ბრალის ნიშნებისათვის როგორც წესი იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, მერაბ ტურავა თავის ნაშრომში „დანაშაულის მოძღვრება“ ემიჯნება, დანაშაულის კლასიკურ სისტემას რომელიც უარყოფს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არსებობას და განზრახვასა და გაუფრთხილებლობას მიიჩნევს ბრალის ფორმად, იგი ასევე არ იზიარებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც გაუფრთხილებლობით დანაშაულს არ აქვს სუბიექტური შემადგენლობა.<sup>14</sup>

განვიხილოთ თითოეული თანამონაწილის მიერ ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური მხარე: ორგანიზატორის საქმიანობა მრავალმხრივია, იგი აწყობს დანაშაულის ჩადენას, შეიმუშავებს დანაშაულის გეგმას და ა.შ. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სუბიექტური მხრივ ორგანიზატორის ქმედება პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.<sup>15</sup> აქვე საინტერესოა თინათინ წერეთლის პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ორგანიზატორმა შესაძლებელია დანაშაული ჩაიდინოს როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი განზრახვით, მისი მოსაზრებით, თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, იგი იმასაც ითვალისწინებს რომ დაქირავებულმა შესაძლებელია გაძარცვოს დაზარალებული. მისი მოსაზრებით ამ შემთხვევაში ორგანიზატორს აკავშირებს პირდაპირი განზრახვა მკვლელობის მიმართ, ხოლო არაპირდაპირი განზრახვა გაძარცვის მიმართ, წინამდებარე მოსაზრებით იმ დანაშაულის მიმართ რომელსაც იგი აწყობს მას მხოლოდ პირდაპირი განზრახვა შეიძლება აკავშირებდეს.<sup>16</sup>

წამქეზებლის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებითაც, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, წაქეზება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და ევეტუალური განზრახვით პირის წაქეზება შეუძლებელია, ეს მოსაზრება დასაბუთებულია იმით, რომ ავტორი

---

<sup>14</sup> მერაბ ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წელი, გვ. 261-262

<sup>15</sup> ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014 წ. გვ 47

<sup>16</sup> თანამონაწილეობა დანაშაულში, თინათინ წერეთელი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1965 წელი, გვ. 149

წარმოუდგენლად მიიჩნევს წააქეზო პირი და იმავდროულად არ გინდოდეს ჩაიდინო დანაშაული. რაც შეეხება დამხმარეს, ამასთან მიმართებით ნათქვამია, რომ დამხმარე თავისი ქმედებით უნდა უმარტივებდეს და უწყობდეს ხელს დანაშაულის ჩადენას.<sup>17</sup>

თუმცა, აქვე საინტერესოა, აზრი, რომლის მიხედვითაც, მართალია დანაშაულში თანამონაწილეებს აერთიანებთ მიზნის ერთიანობა, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს თანამონაწილეთა ქცევაში მოტივთა სხვაობას, აღნიშნული კი არ გამოიწვევს განსხვავებულ კვალიიკაციას თუ ამ პირებმა იციან ერთმანეთის მოტივების შესახებ.<sup>18</sup>

თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარესთან მიმართებით, პროფესორი მერაბ ტურავა იზიარებს თინათინ წერეთლის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა სუბიექტური მხრივ შესაძლებელია არსებობდეს როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი განზრახვით.<sup>19</sup> თანამონაწილეობისთვის საკმარისია თანამონაწილეებმა იცოდნენ ამსრულებლის ქმედების შესახებ, ხოლო საწინააღმდეგო ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის, უფრო ზუსტად, მისი მოსაზრებით, თანამონაწილეობა, კერძოდ ორი ან მეტი პირის განზრახვი ერთობლივი მონაწილეობა განზრახვი დანაშაულის ჩადენაში სახეზეა მაშინ როდესაც თანამონაწილეებმა იციან ამსრულებლის ქმედების შესახებ.<sup>20</sup>

თინათინ წერეთელი სახელმძღვანელოში ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, წინასწარ შეპირებული დაფარვაც დგას კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ამ შემთხვევაში აქვს ადგილი ფსიქიკურ დახმარებას, ის კი მიიჩნევს რომ აღნიშნული დაპირებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამსრულებლის მიერ განზრახვის განხორციელებისას, ვინაიდან იგი მას მატებს გამბედაობას დანაშაულის ჩადენაში.<sup>21</sup>

### 2.2.3. მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში

<sup>17</sup> ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014 წ. გვ.50

<sup>18</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, (გურამ ნაჭყებია) გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016 გვ. 267

<sup>19</sup> მერაბ ტურავა - სისხლის სამართალი, ზოგადი მიმოხილვა, მე-9 გამოცემა გვ. 334-335.

<sup>20</sup> სისხლის სამართლის პრობლემები, თინათინ წერეთელი II ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2007, გვ.64

<sup>21</sup> თინათინ წერეთელი, სისხლი სამართლის პრობლემები, ტომი II, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2007 წელი, გვ. 55

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში მიზეზობრივი კავშირზე საუბრის დაწყებამდე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია ვისაუბროთ ზოგადად მიზეზობრივი კავშირის დადგენის მნიშვნელობაზე ქმედებასა და შედეგს შორის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში საუბარია, მიზეზობრივ კავშირზე, რომლის მიხედვითაც „ მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წაროდგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა“ (სსკ-ის მე-8 მუხლი).

პროფესორი მერაბ ტურავა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ მუხლში ზედმეტია მითითება მართლსაწინააღმდეგო შედეგზე, ვინაიდან ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ მიზეზობრივი კავშირის დადგენა ხდება, შედეგის მართლწინააღმდეგობაზე საუბარი ადრეა. მიზეზობრივი კავშირი წარმოადგეს, აუცილებელ წინაპირობას იმისათვის, რომ მოხდეს ობიექტური შერაცხვა, იგი დანაშაულის დაწერილი ნიშანია.<sup>22</sup> აღნიშნული მოსაზრება სავსებით გასაზიარებელია.

მიზეზობრივი კავშირის დადგენას, ცხადია დიდი მნიშვნელობა აქვს თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებშიც და შესაძლებელია მივიჩნიოთ რომ იგი გარკვეულწილად სპეციფიურია. ამ საკითხთან დაკავშირებით, მოსაზრებას გამოთქვამს თინათინ წერეთელი, რომლის მიხედვითაც, „თანამონაწილეთა მოქმედების ობიექტური მხარის ერთიანობა უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ყოველი თანამონაწილის მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, ასე რომ, ეს შედეგი მათი საერთო საქმიანობის პროდუქტი უნდა იყოს.“<sup>23</sup>

მართლაც, ვინაიდან თანამონაწილეობისათვის აუცილებელია მინიმუმ ორი პირის ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, მნიშვნელოვანია რომ ქმედება, რომელმაც კონკრეტული შედეგი გამოიწვია ჩადენილი იყოს ამ პირთა მონაწილეობით ისე, რომ დანაშაულებრივი შედეგი იყოს მათი საერთო საქმიანობის შედეგი, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ვერ ვისაუბრებთ იმ ნიშნის არსებობაზე რაც თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულისთვის მნიშვნელოვანია, კერძოდ ერთობლივ მონაწილეობაზე.

<sup>22</sup> სისხლის სამართალი, ზოგადი მიმოხილვა, მე-9 გამოცემა მერაბ ტურავა, გვ.90

<sup>23</sup> თინათინ წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1965 წელი, გვ. 12

თინათინ წერეთელი დანაშაულში თანამონაწილედ მიიჩნევს მხოლოდ იმას, ვინც ჩაიდინა ის მოქმედება, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.<sup>24</sup>

მერაბ ტურავას მოსაზრების მიხედვით, განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობის შემთხვევაში, მათი როლების გასამიჯნად ქართული სისხლის სამართალი იყენებს, ე.წ. დუალისტურ სისტემას. ეს სისტემა დანაშაულის პროცესში შესრულებული როლის მიხედვით თითოეულ მონაწილეს განიხილავს ამსრულებლად ან თანამონაწილედ. იგი განსხვავდება ერთიანი ამსრულებლობის პრინციპისაგან. ერთიანი ამსრულებლობის პრინციპის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომლის ქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, წარმოადგენს ამ დანაშაულის ამსრულებელს, მიუხედავად დანაშაულის ჩადენაში მის მიერ შეტანილი წვლილისა, რომელიც მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს. დღეს ქართულ, ისევე როგორც გერმანულ სისხლის სამართალში, გაბატონებულია ე.წ. დუალისტური თეორია.<sup>25</sup> ერთიანი ამსრულებლობის პრინციპის უარყოფა, ჩემი აზრით გამართლებულია, ვინაიდან მისი არსებობის შემთხვევაში მივიღებთ გარემოებას, როდესაც მაგალითისათვის ორი პირის მიერ ქმედების განხორციელებაში შეტანილი განსხვავებული წვლილის მიუხედავად, ისინი ჩაითვლებიან ამსრულებლებად. რაც ვფიქრობ, გაუმართლებელია, რადგან ამ დროს შესაძლებელია მათი ქმედების ხასიათი გათვალისწინებული იყოს მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას. თუმცა, მიუხედავად ამისა, პირის მიერ განხორციელებული ქმედების ხარისხის გათვალისწინებლობამ შესაძლოა არსებითად არასამართლიანი მდგომარეობა შექმნას კონკრეტულ შემთხვევებში. აქედან გამომდინარე, მიზეზობრივი კავშირის დადგენისასაც მივდივართ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ უმნიშვნელოვანესია კონკრეტულ შემთხვევაში პირის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათი იმისათვის, რომ დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი.

#### 2.2.4 ბრალი თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში

<sup>24</sup> თინათინ წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1965 წელი, გვ. 12

<sup>25</sup> მერაბ ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი 2010 წ. გვ. 265.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის რომ სახეზე გვექონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, აუცილებელია რომ სახეზე იყოს დანაშაულის შემადგენლობის ყველა საფეხური, ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. იმ შემთხვევაში არ გვექნება ბრალი მხოლოდ ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა გვაძლევს სისხლისსამართლებრივ უმართლობას უმართლობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პროფესორ მერაბ ტურავას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც: „მაშინ როდესაც დანაშაული ბრალის გარეშე არ არსებობს, სისხლისსამართლებრივი უმართლობა შესაძლებელია ჩაიდინოს შეურაცხადმა პირმაც“.<sup>26</sup>

ბრალი თანამონაწილეობის დროს, ბევრი ავტორისთვის არის განსახილველი საკითხი, თინათინ წერეთელის მოსაზრების მიხედვით: „თანამონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც არა მარტო ობიექტურად განაპირობა თავისი მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი, არამედ, აგრეთვე ბრალეულად გამოიწვია იგი“.<sup>27</sup>

ბრალის საკითხი თანამონაწილეობის საკითხთან არსებულ პრობლემებს შორის ერთ-ერთია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია გარემოებების შერაცხვის საკითხი ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ბრალის მოცულობის დადგენა. „თანამონაწილეობის პრობლემათა შორის მნიშვნელოვან ასპექტთა რიცხვს განეკუთვნება თითოეული თანამონაწილისათვის იურიდიულიად მნიშვნელოვანი გარემოებების შერაცხვის ფარგლების საკითხი ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ბრალის მოცულობის დადგენა. ცალკეულ თანამონაწილეს ბრალი შეიძლება დაედოს იმ იურიდიულად არსებული გარემოებებით, რომელსაც მოიცავდა მისი ცნობიერება. ამ გარემოებებიდან პირველსახოვანი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივად განხორციელების ფაქტს. თანამონაწილეობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა

---

<sup>26</sup> მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი 2013წელი, გვ.333

<sup>27</sup> იხ. თინათინ წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი, 1965 წელი, გვ.36



დანაშაულის თითოეული მონაწილე აცნობიერებს იმას, რომ დანაშაული ჩაიდინება მათ მიერ არამარტო, არამედ სხვა პირებთან ერთად.<sup>28</sup>

თინათინ წერეთელი ამბობს, „პირველ ყოვლისა გამოსარკვევია შეიძლება თუ არა გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა განზრახ ჩადენილ დანაშაულში ან პირიქით, განზრახი თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში“.<sup>29</sup> თინათინ წერეთლის აზრით, „თანამონაწილეობა ბრალის სხვადასხვა ფორმების დროს დაუშვებელია. თანამონაწილეობა წარმოადგენს რამდენიმე პირის მონაწილეობას ერთი საერთო დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთიანობისათვის არ არის საკმარისი რომ ყოველი მათგანის მოქმედება წარმოადგენდეს საზოგადოებრივად საშიში შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, დანაშაულის ერთიანობისათვის სუბიექტური მხარის ერთიანობაცაა საჭირო, ეს ერთიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც ყველა პირის საქმიანობა შეგნებულად მიმართულია ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ. პირიქით მას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში როდესაც ერთ-ერთი თანამონაწილე შეგნებულად წარმართავს თავის ნებას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, ხოლო მეორე პირი არც კი ითვალისწინებს ამ შედეგს.“<sup>30</sup>

პოფესორ გურამ ნაჭყებიას მოსაზრების მიხედვით, ბრალის არსებობის დადგენისას მხედველობაში მიიღება, საერთო დანაშაულში თითოეული პირის მიერ შეტანილი წვლილი, ანუ ქმედება რომელიც მან ობიექტურად განახორციელა.<sup>31</sup>

პროფესორი მერაბ ტურავა, ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საჭიროა არა მხოლოდ ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების მიზეზობრიობის დადგენა დამდგარ შედეგთან, არამედ ასევე მნიშვნელოვანია მათი ერთიანი განზრახვით მოქმედება, ამასთან თუ ამსრულებლის მხარეს გვხვდება ისეთი საპატიებელი გარემოება რომელიც მისთვის ქმნის ბრალის გამომრიცხველ გარემოებას, იგი ითვლება უმართლობის ამსრულებლად. თუმცა მას შეიძლება ჰყავდეს თანამონაწილე

<sup>28</sup> ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014 წელი, გვ.:83

<sup>29</sup> თანამონაწილეობა დანაშაულში, თინათინ წერეთელი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1965 წელი, გვ.37

<sup>30</sup> თანამონაწილეობა დანაშაულში, თინათინ წერეთელი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1965 წელი, გვ.38

<sup>31</sup> ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (გურამ ნაჭყებია) გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016 წელი

მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში, ვინაიდან ის ფაქტი რომ ამსრულებლის მხარეს არ არის ბრალი ეს არ ნიშნავს დანაშაულის თანამონაწილის მხარესაც არ არის ბრალის ნიშანი.<sup>32</sup>

აღნიშნული მოსაზრება სავსებით ლოგიკურია ვინაიდან თუ კონკრეტულ შემთხვევაში ამსრულებლის მხარეზეა დანაშაულის შემადგენლობის პირველი და მეორე ნიშანი, კერძოდ ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა ხოლო ამასთან, სახეზეა ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, ეს ნიშნავს იმას, რომ სახეზეა სისხლისსამართლებრივი უმართლობა, თუმცა ეს ავტომატურად არ გულისხმობს რომ თუ მასთან ერთად დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებდა სხვა პირი, ანუ თანამონაწილე იგივე სისხლისსამართლებრივ უმართლობას ახორციელებს, არამედ ამ შემთხვევაში საუბარია თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულზე.

### 2.3. თანაამსრულებლობის ცნება

თანაამსრულებლის ცნებაზე საუბარი უნდა დავიწყოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ ამსრულებლობის სამ სახეზე, უშუალო ამსრულებლობა, თანაამსრულებლობა, და შუალობითი ამსრულებლობა.

საინტერესოა განსხვავება ამ სამი ტიპის ამსრულებლობას შორის, უშუალო ამსრულებელი არის პირი, რომელიც დანაშაულის სრულ შემადგენლობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

თანაამსრულებელი არის პირი, რომელიც ასევე სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, ეს ნიშნავს იმას, რომ თანაამსრულებელი ახორციელებდა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით განსაზღვრულ მოქმედებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობის ე.წ. რთული ფორმა, ე.ი. თანამონაწილეობა როლების განაწილებით.

---

<sup>32</sup> მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი 2013წელი, გვ.333

დანაშაულის თანამონაწილე ამ შემთხვევაში მიიჩნევა, ორგანიზატორი წამქეზებელი და დამხმარე. რაც შეეხება უშუალო თანაამსრულებელს, თუ ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული, თანაამსრულებელი არის ის პირი, რომელთან ერთადაც იგი უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. ე.ი. თუ პირმა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა უშუალოდ, თავისი საკუთარი გონებითა და ხელებით დამოუკიდებლად განახორციელა, ამ შემთხვევაში ეს პიროვნება დანაშაულში თანამსრულებლად არ ითვლება. თანაამსრულებლობა, ესაა შემთხვევა როდესაც ერთი და იგივე სისხლის სამართლის უმართლობას ახორციელებს ორი ან მეტი ამსრულებელი, ამ კუთხით თანაამსრულებელი დანაშაულში თანამონაწილეა.<sup>33</sup>

შესაბამისად, თუ დანაშაულის ამსრულებელია ის პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ჩადენილ ქნედებას, თანაამსრულებელი ეს არის პირი რომელიც ასევე უშუალოდ ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრულ ქმედებას, თუმცა ამ შემთხვევაში იგი ამ ქმედებას ახორციელებს სხვა პირთან ერთად, მაგრამ არა როგორც თანამონაწილე, არამედ როგორც ამსრულებელი, სწორედ იმიტომ რომ თანაამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება კოდექსის შესაბამისი მუხლით და მისი ქმედების კვალიფიკაცია არ საჭიროებს დამატებით სსკ-ის 25, ე მუხლზე მითითებას.

რაც შეეხება შუალობით ამსრულებლობას, ამ შემთხვევაში აუცილებელია ვიცოდეთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ტერმინს „ცოცხალი იარაღი“, ვინაიდან შუალობითი ამსრულებელი მოქმედებს წამქეზებლის ფორმით, წმინდა ობიექტური თვალსაზრისით, წამქეზებლობის დროს თანამონაწილეობასა და შუალობით ამსრულებლობას შორის განსხვავება არ არის. შუალობით ამსრულებლობასთან მიმართებით მნიშვნელოვანია რომ იგი სახეზეა როცა წამქეზებელმა იცის, რომ ის წაქეზებულს დანაშაულის ჩადენის „ცოცხალ იარაღად იყენებს“.<sup>34</sup>

თანაამსრულებლობის საკითხთან მიმართებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია ვახსენოთ მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით თანაამსრულებლობის დასაბუთება, აღნიშნული არის, მოქმედებაზე ბატონობის ერთ-ერთი სახე, ზოგადად, მოქმედებაზე ბატონობის თეორია დასაბამს იღეს გერმანიიდან, ხოლო მოგვიანებით იგი მრავალ ქვეყანაში

<sup>33</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, (გურამ ნაჭყებია) გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი გვ.21

<sup>34</sup> ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბილისი 2007 წელი

გავრცელდა, აღნიშნულ ტერმინი გამოიყენეს, ჰეგლერმა, ფრანკლიმ და გოლდშმიტმა, თუმცა ისინი ამას იყენებენ არა ამსრულებლის, არამედ ბრალის ცნებასთან მიმართებით.<sup>35</sup>

ონტოლოგიურ-თელეოლოგიური მეთოდი არის ის, რითიც მიჩნეულია რომ უნდა მოხდეს ამსრულებლობის დადგენა, ამის მთავარი პრინციპი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, კერძოდ, ამსრულებელი განიხილება მოქმედების მსვლელობის ცენტრალურ შემოქმედად. <sup>36</sup> აღნიშნული აღქმულია ამსრულებლის ცნების დადგენის ძირითად პრინციპად, ამის შემდეგ კი იგი უნდა დავუკავშიროთ მოქმედებაზე ბატონობის მოძღვრებას, ამ შემთხვევაში პირი რომელიც მოქმედებაზე ბატონობს ასეთად იმ შემთხვევაში შეგვიძლია მივიჩნიოთ თუ არის ქმედების ცენტრალური შემოქმედი, ხოლო ეს საკითხი უნდა განისაზღვროს მოქმედებაზე ბატონობის ცნებით, აღნიშნული ცნება არის შინაარსობრივად შევსებადი განუსაზღვრელი ცნება, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მიესადაგოს გარემოებას. მთავარი განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში არის ის, რომ როგორც ამსრულებლობის, ასევე შუალობითი და თანაამსრულებლობის დროს, პირი უნდა იყოს ცენტრალური ფიგურა, რომელიც ფუნქციონალურად ბატონობს ქმედებაზე. <sup>37</sup>

ამსრულებლობის დროს, პირი საკუთარი ხელებით უშალოდ ახორციელებს ქმედებას, რა დროსაც ხდება ცენტრალური ფიგურა, თანაამსრულებლობის დროს, მართალია სხვა პირთან ერთად მოქმედებს, თუმცა მას შეაქვს მნიშველოვანი ფუნქციური წვლილი, ხოლო შუალობითი ამსრულებლობის დროს შესაძლოა პირი სრულებით არ იმყოფება დანაშაულის ჩადენის ადგილზე და სხვა პირზე, კერძო უშუალო ამსრულებელზე ბატონობს, რაც ნების ბატონობად მიიჩნევა და ამ გზით ჩადის დანაშაულს. <sup>38</sup>

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სახეზე არ გვაქვს არც მოქმედებაზე ბატონობა და არც ნების ბატონობა. ასეთ შემთხვევებში

---

<sup>35</sup> იხ.: თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით გამომცემელი: მერიდიანი, 2016, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, ავტორი ანრი ოხანაშვილი, გვ. 266-267

<sup>36</sup> იხ.: თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით გამომცემელი: მერიდიანი, 2016, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, ავტორი ანრი ოხანაშვილი, გვ. 268-269

<sup>37</sup> თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით გამომცემელი: მერიდიანი, 2016, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, ავტორი ანრი ოხანაშვილი, გვ. 269-270

<sup>38</sup> თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით გამომცემელი: მერიდიანი, 2016, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, ავტორი ანრი ოხანაშვილი, გვ. გვ. 270

საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდეთ თანაამსრულებლობის ძირითად მახასიათებელს.<sup>39</sup>

ამ საკითხთან დაავშირებით ავტორები მოსაზრებას აყალიბებენ განსხვავებულად, კერძოდ, ოთარ გამყრელიძის მოსაზრების მიხედვით, თანაამსრულებელი შემადგენლობას მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც უნდა ახორციელებდეს, ამსრულებლად შეიძლება მიჩნეული იყოს პირი, რომელიც არის უშუალო ამსრულებელი.<sup>40</sup> თინათინ წერეთლის მოსაზრება ემთხვევა, ოთარ გამყრელიძის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, თუ პირი დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებს თუნდაც იგი ამ მომენტში მოქმედებდეს, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ თანაამსრულებლად.<sup>41</sup> მერაბ ტურავას მოსაზრებით, პირი არის ამსრულებელი და არა დამხმარე, იმ შემთხვევაში, თუ იგი, ქმედების გახორციელების უშუალო პროცესთან ფუნქციონალურად იყო კავშირში, მისი მოსაზრებით სწორედ ასეთია თანაამსრულებლის საკანონმდებლო დეფინიციის ზუსტი განსაზღვრება.<sup>42</sup> რაც შეეხება ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის მოსაზრებას, იგი მიიჩნევს, რომ თანაამსრულებლად შესაძლოა მივიჩნიოთ ისეთი პირიც, რომელიც შესაძლოა ქმედების შემადგენლობას უშუალოდ არ ასრულებდეს მაგრამ გადაამწყვეტ როლს თამაშობდეს ქმედების განხორციელების საკითხში.<sup>43</sup>

ქართულ კანონმდებლობის მიზანს ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან მეტად მიესადაგება, მერაბ ტურავასა და ქეთევან მჭედლიშვილის მოსაზრებები, ვინაიდან აღნიშნული გამომდინარეობს უშუალოდ კანონის ობიექტური მიზნიდან რასაც სამართაშეფარდების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>44</sup>

---

<sup>39</sup> თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით გამომცემელი: მერიდიანი, 2016, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, ავტორი ანრი ოხანაშვილი, გვ. გვ. 270

<sup>40</sup> ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა მერიდიანი თბილისი 2011, გვ. 262

<sup>41</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი II, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2007 წელი, გვ. 135

<sup>42</sup> მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2013 წელი, გვ. 336-337

<sup>43</sup> ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი, გვ. 147

<sup>44</sup> გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2006 წელი, გვ. 156

### 2.3.1. თანაამსრულებლობის ობიექტური მხარე

თანაამსრულებლის ობიექტური მხარე ძირითადად ემთხვევა ამსრულებლის ობიექტურ მხარეს. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს, ქმედების სუბიექტი, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრულ ქმედებას, გვაქვს ობიექტი, რომელშიც იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსით დაცული სამართლებრივი სიკეთე, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედება. რაც შეეხება ობიექტური მხარის შემდეგ ნიშანს, ეს არის უშუალოდ ქმედება, რომელსაც თანაამსრულებელი ახორციელებს დაცული სიკეთის მიმართ, რასაც მოსდევს კონკრეტული შედეგი, ხოლო იმისათვის რომ საბოლოოდ აღნიშნული ქმედება პირს ობიექტურად შეერაცხოს და იმისათვის რომ სახეზე იყოს დანაშაულის სამსაფეხუროვანი სისტემის პირველი ნიშანი, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა დანაშაულის სუბიექტის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

დანაშაულში თანაამსრულებლობა, როგორც წესი ხდება წინასწარი შეთანხმებით, თუმცა არსებოს მოსაზრება რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია რომ არ იყოს სახეზე წინასწარი შეთანხმება, ეს არის შემთხვევა, როდესაც ამსრულებელი იწყებს უშუალოდ ქმედების განხორციელებას, ხოლო ამის შემდეგ მას შემთხვევით შესწრებული პირი შეუერთება. დანაშაულში თანაამსრულებლობა შესაძლებელია სახეზე იყოს როგორც დენად დანაშაულში, ასევე განგრძობად დანაშაულში. ობიექტური მხრივ დანაშაულის თანაამსრულებლობა, როგორც წესი ხორციელდება აქტიური მოქმედებით, თუმცა ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით შესაძლებელია მისი ჩადენა უმოქმედობითაც, მათ შორის იგულისხმება შერეული უმოქმედობა.<sup>45</sup>

ვინაიდან სპეციალურ დელიქტებში, ამსრულებელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი, ასეთი დანაშაულის თანაამსრულებლობა არ შეიძლება სხვა არასპეციალური სუბიექტის მიერ, ამ შემთხვევაში, თუ სხვა პირი არის არასპეციალური სუბიექტი, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ თანამონაწილე. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში, სამართლებრივ გარანტზე როგორც თანაამსრულებელზე მხოლოდ მაშინ

<sup>45</sup> ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) გურამ ნაჭყებია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი, გვ. 277-278

შეიძლება ვისაუბროთ თუ ორი ან მეტი პირი არის სამართლებრივი განარტის მქონე. <sup>46</sup>

თანამსრულებლის მიზნისათვის, დანაშაულის უშუალო ჩადენა ნიშნავს, კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ, კერძოდ თანამსრულებლობა ამ კუთხით არის იგივე ამსრულებლობა და ეს ნიშანი განასხვავებს მას თანამონაწილის ერთ-ერთი სახისგან, დამხმარისგან, რაც ხშირად პრაქტიკულ პრობლემებს ქმნის. <sup>47</sup>

ლიტერატურაში არის გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თანამსრულებლობის ობიექტურ მხარეში, აუცილებელია თანამსრულებელმა ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშნის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს, რაც გულისხმობს ქმედებაზე ფუნქციონალურ ბატონობას. ამ შემთხვევაში სახეზე აღარ გვაქვს აქცესორობის თეორია, არამედ თანამსრულებელთა მიერ ჩადენილი ქმედების ურთიერთშერაცხვის პრინციპი, თუცა ეს პრინციპი არ გულისხმობს რომ თანამსრულებლები ყოველთვის ერთი მუხლით დაისჯებიან. <sup>48</sup>

### 2.3.2. თანამსრულებლობის სუბიექტური მხარე

თანამსრულებლის სუბიექტურ მხარესთან მიმართებით არსებობს ავტორთა მიერ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებები, კერძო, ოთარ გამყრელიძე მიიჩნევს, რომ სუბიექტური მხრივ, თანამსრულებლობა შედგება ორი მომენტისაგან, ერთი ეს არის შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, ხოლო მეორე არის თანამსრულებლის მხრიდან იმის ცოდნა, რომ სხვა თანამსრულებელთან ერთად ახორციელებს კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ უმართლობას, ამასთან იგი ამბობს, რომ თანამსრულებლობა არის განზრახი და თანამსრულებლები როგორც წესი მოქმედებენ წინასწარი შეთანხმებით თუმცა შესაძლებელია სახეზე არც იყოს წინასწარი შეთანხმება, არამედ მხოლოდ იმის ცოდნა რომ ისინი ერთიან სისხლისსამართლებრივ უმართლობას ჩადიან. რაც შეეხება შედეგისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას, გამყრელიძის აზრით აღნიშნული მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.

<sup>46</sup> მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი მე-9 გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2013 წელი, გვ.325-326

<sup>47</sup> ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი, გვ. 261

<sup>48</sup> ქეთევან მჭედლიშვილი ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011 წელი, გვ.160

თინათინ მჭედლიშვილი-ჰედრიხი, მიიჩნევს, რომ ერთიანობისთვის საჭიროა არსებობდეს თანაამსრულებელთა ინტელექტუალური კავშირი, მისი მოსაზრებით სწორედ საერთო გადაწყვეტილებაა ის ფაქტორი რის გამოც ისინი პასუხს აგებენ თანაამსრულებლობისთვის და რის გამოც თითოეულ თანაამსრულებელს შეერაცხება სხვის მიერ განხორციელებული ქმედება სრულად, სახელმძღვანელოში მოყვანილია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თუ არ არსებობს გადაწყვეტილების საერთო მიზანი და შეთანხმება, არ არსებობს თანაამსრულებლობა.<sup>49</sup>

რაც შეეხება მერაბ ტურავას მოსაზრებას, მისი მოსაზრების მიხედვით, ორი ან მეტი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის როგორც თანაამსრულებლობა ასევე შუალობითი ამსრულებლობა, შესაძლებელია არსებობდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი განზრახვით, იგი ამბობს რომ თანაამსრულებლობის დროს, პირი მოქმედებს ორი გარემოების ცოდნით ერთი, ცოდნა საკუთარი ქმედების შემადგენლობის ნიშნების შესახებ, ხოლო მეორე რომ ამ შემადგენლობას მის გარდა ასრულებს ასევე სხვა პირი, სხვა ამსრულებელიც. იგი ემიჯნება ოთარ გამყრელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას რომლის მიხედვითაც თანაამსრულებლობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა არსებობდეს.<sup>50</sup> ვფიქრობ აღნიშნული პოზიცია გასაზიარებელია ვინაიდან სავსებით შესაძლებელია, პირს ჰქონდეს გაცნობიერებული თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ამასთან ეს პირი ითვალისწინებდეს, რომ მისი ქმედების შესაბამისად შესაძლებელია დადგეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მას შესაძლებელია არ სურდეს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდეს ან გულგრილად ეკიდებოდეს, ამასთან აუცილებელია ისიც, რომ ამ პირმა საკუთარი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების გარდა, ასევე უნდა იცოდეს ისიც, რომ ამ შემადგენლობას მის გარდა ასრულებს სხვა პირიც. აღნიშნულ პოზიციას ამყარებს ის არგუმენტიც, რომ თანაამსრულებელსა და ამსრულებლის მთავარ განმასხვავებლად ვიღებთ ფაქტს, რომ თანაამსრულებელი იგივე ქმედებას სხვა პირთან ერთად ახორციელებს უშუალო მონაწილეობით, ხოლო ამსრულებელი დამოუკიდებლად.

### 2.3.3. მიზეზობრივი კავშირი თანაამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულში

<sup>49</sup> ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, ზოგადი ნაწილი II გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011 წელი, გვ. 164

<sup>50</sup> მერაბ ტურავა, სისხლი სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2013 წელი, გვ.:330



როგორც უკვე აღვიშნეთ, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თანაამსრულებლობასთან, არამედ ნებისმიერ დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით. ვინაიდან, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 8, ნაწილი 2). შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმისათვის რომ თანაამსრულებლის ქმედებასთან მიმართებით სახეზე იყოს მიზეზობრივი კავშირი, აუცილებელია რომ იგი ჩადიოდეს სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის ქმედებას და ამავდროულად აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას.

იმისათვის, რომ სახეზე გვქონდეს თანაამსრულებლობა, მიიჩნევა რომ არ არის აუცილებელი ქმედების შემადგენლობის დასაწყისშივე მონაწილეობდნენ პირები არამედ შესაძლებელია რომ პირი სხვის მიერ დაწყებულ ქმედებაში ჩაებას, ასეთ თანაამსრულებლობას სუქცესიურ თანაამსრულებლობას უწოდებენ, თუმცა სადავოა თუ კონკრეტულად როდის შეიძლება განხორციელდეს აღნიშნული, ანუ დანაშაულის რომელ სტადიაზე. მოსაზრების მიხედვით, თანაამსრულებლობად ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია რომ მათ ჰქონდეთ საერთო გეგმა რომელიც მათ შორის უნდა იყოს შეთანხმებული სიტყვიერად ან რაიმე ფორმით. აღნიშნული პრობლემატურად არ მიიჩნევა მაშინ როდესაც ქმედების შემადგენლობის განხორციელება მიმდინარეობს, ასეთი ვითარება კი გვაქვს მაშინ როცა ქმედების შეადგენლობისათვის საჭიროა მისი ხანგრძლივი აღსრულება ან მისი განმეორებადი შესრულება. იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის ფორმალურად დასრულების შემდეგ მიუერთდა რომელიმე პირი ამ პირის მიერ განხორციელებული ქმედება, ქმედების შემადგენლობასთან ვერ იქნება მიზეზობრივ კავშირში, ვერც უკვე ჩადენილი დანაშაულის მოწონება ვერ შექმნის მიზეზობრივ კავშირს რადგან იგი განზრახვას ვერ დააფუძნებს, ამასთან მიზეზობრივ კავშირი ვერ გვექნება თუ პირს ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში უშუალოდ არ შეუტანია წვლილი.<sup>51</sup>

<sup>51</sup> ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II დანაშაულს გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011 წელი, გვ. 169-170;

თინათინ წერეთელი მიიჩნევს, პასუხისმგებლობის საკითხი თითოეული დამნაშავესათვის უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით თუ რა გააკეთა მან ობიექტურად და რა განზრახვაც მას ჰქონდა, რაც შეეხება შემდგომ მონაწილეობას აღნიშნული მიზეზობრივი კავშირის დასადგენად არ გამოდგება. ხოლო, მაშინ, როცა თანამსრულებლები წიასწარ შეთანხმდნენ იმისათვის, რომ მათ გაენაწილებინათ როლები შესაბამისად, ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი სახეზეა. კერძოდ თითოეული ამსრულებელი, რომელიც თუნდაც ქმედების შემადგენლობის ერთ ნაწილს ასრულებს განამტკიცებს მეორე თანამსრულებლის განზრახვას, როგორც მის მიერ უშუალოდ განხორციელებული ნაწილის მიმართ, ასევე იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც ასრულებს თანამსრულებელი.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი მართებულად მიიჩნევს მოსაზრებას რომლის თანახმადაც, თანამსრულებლობისას მცდელობის ან მომზადების დასაწყებად საკმარისია ერთი თანამსრულებლის მიერ შეიქმნას დანაშაულის ჩასადენად შესაბამისი პირობები განზრახ, ან ის რომ მან დაიწყოს დანაშაულის განხორციელება. ხოლო იმ შემთხვევაში თუ თანამსრულებელს არ განუხორციელებია რაიმე ქმედება, მათ მხოლოდ მომზადების ან მცდელობისთვის დაეკისრებათ პასუხისმგებლობა.<sup>52</sup>

#### 2.3.4. ბრალი თანამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულში

ინდივიდუალური ბრალის გარეშე სასჯელის დაკისრება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, დღეს მსოფლიოში უარყოფილია ე.წ. კოლექტიური ბრალის პრინციპი. ნორმატიული თეორიის მიხედვით ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა, მის მიერ ჩადენილი მართლსწინააღმდეგო ქმედებისთვის, ანუ ბრალი ინდივიდუალური გასაკიცხაობაა და არა პირის ფსიქიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. ბრალის პრინციპს კანონიერების პრინციპთან ერთად აქვს კონსტიტუციური რანგი და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რაც გულისხმობს იმას რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაისაჯოს თუ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ინდივიდუალური შერაცხვის სამართლებრივი საფუძველი.<sup>53</sup>

<sup>52</sup> ქეთევან მჭედლიშვილი ჰედრიხი სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011 წელი, გვ. 174

<sup>53</sup> მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი, გვ. 207

თინათინ წერეთლის მოსაზრებით, ვინაიდან თანაამსრულებლობა ფართო გაგებით თანამონაწილეობის ფორმაა, აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ რამდენიმე პირის ქმედებამ დანაშაულებრივ შედეგი გაუფრთხილებლობით გამოიწვია თითოეული დამნაშავე პასუხს აგებს როგორც დამოუკიდებლად და არა როგორც თანაამსრულებელი, ამასთან გარდა ამისა თანაამსრულებლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შეგნებული რომ დანაშაულებრივი შედეგი მათი საერთო ქმედების შედეგია, ვინაიდან თანაამსრულებლობის არსი სწორედ ისაა რომ იცოდნენ რომ, ისინი ერთმანეთის მეშვეობით ახორციელებენ ამ შედეგს, თუმცა აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინასწარი შეთანხმება არ არის სავალდებულო, მთავარია იცოდნენ ერთმანეთის მოქმედების შესახებ, ამ შეთხვევაში ისინი პასუხს აგებენ როგორც ამსრულებლები სწორედ ესაა მიზეზი, რომ სსკ - ის შესაბამისი მუხლით ხდება მათი ქმედების კვალიფიკაცია და დამატებით თანამონაწილეობაზე მითითება საჭირო არ არის.<sup>54</sup>

მას შემდეგ რაც დავადგენთ თუ როგორ ხდება ბრალის შერაცხა თითოეული პირისათვის, მნიშვნელოვანია იმის დადგენა არსებობს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის ბრალის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება ბრალი სახეზეა, რაც იმას ნიშნავს რომ პირის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. თუმცა, აქვე ისიც მნიშვნელოვანია, რომ თუ ორი პირი მოქმედებს დანაშაულის ჩასადენად რა დროსაც ერთის მხარეს არის ბრალის გამომრიცხველი გარემოება, სახეზე შესაძლებელია გვექონდეს შუალობითი ამსრულებლობა შუალობითი ამსრულებლობა კი გულისხმობს, რომ ე.წ. „ცოცხალი იარაღის“ მიერ ჩადენილია უმართლობა, კერძოდ არაბრალეულად მოქმედი პირის დაყოლიება უმართლობის განსახორციელებლად. რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, სახეზე უნდა იყოს განზრახვა მიმართული ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედებისკენ, ასევე განზრახვა უმართლობის განმახორციელებელი პირის „ცოცხალ იარაღად“ გამოყენებისაკენ, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ბრალუნარიანობა, მართლწინააღმდეგობის

---

<sup>54</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, გამომცემლობა თბილისი, 2011 წელი, გვ.142-143

შეგნება როგორც განზრახვის ნაწილი, ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა.<sup>55</sup>

## 2.4. ამსრულებლის ექსცესი

ამსრულებლის ექსცესთან დაკავშირებით საყურადღებოა სსკ-ის 26-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, ამავე მუხლის მიხედვით ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ტერმინი „ექსცესი“ ნიშნავს მოქმედებიდან გადახრას. ამასთან დაკავშირებით საუბარია ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოში, რომლის მიხედვითაც, როგორც ამსრულებელმა, ისე თანაამსრულებელმა შეიძლება გადაუხვიონ საერთო ჩანაფიქრის ფარგლებს და ჩაიდინონ უფრო მძიმე ან საერთო ჩანაფიქრისაგან თვისობრივად განსხვავებული დანაშაული. ამის შესაბამისად განასხვავებენ ექსცესის ორ სახეს: რაოდენობრივ და თვისებრივ ექსცესს. რაოდენობრივია ექსცესი, როდესაც ამსრულებელი და თანაამსრულებელი ჩაიდენენ უფრო მძიმე დანაშაულს, ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდათ თანამონაწილეს ან სხვა თანაამსრულებელს. თვისებრივია ექსცესი, როდესაც ამსრულებელი ან თანაამსრულებელი ჩაიდენენ ისეთ დანაშაულს, რომელიც თვისებრივად განსხვავებული საერთო ჩანაფიქრის დანაშაულისგან.<sup>56</sup> მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ექსცესის არსებობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც პირი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილე ან თანაამსრულებელი შეგნებულად უშვებენ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, მაშინ თანამონაწილე და თანაამსრულებელი პასუხს აგებენ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში სახეზე არ გვექნება ექსცესი, რადგან გადამწყვეტია ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის განხორციელება, კერძოდ რას მოიცავდა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა და რა შედეგი მოჰყვა რეალურად პირის მიერ განხორციელებულ ქმედებას.

<sup>55</sup> ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011 წელი, გვ. 278.

<sup>56</sup> ავტორთა ჯგუფი - სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილი, 2016წ. იხ.: გვ. 287.

ასეთ მიდგომას ახორციელებს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი, კერძოდ ამსრულებლის ექსცესი გამოიხატება ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულით, რომელიც არ მოიცავს სხვა თანამონაწილეების განზრახვას. ამსრულებლის ექსცესის გამო, დანაშაულის სხვა თანამონაწილენი პასუხისმგებას არ ექვემდებარებიან. თანამონაწილეები პასუხს აგებენ თავიანთი დანაშაულის ფარგლებში. ამსრულებლის ექსცესის გამო, დანაშაულის სხვა თანამონაწილეები პასუხისმგებას არ ექვემდებარებიან.<sup>57</sup> მაგალითად, თანამონაწილეები შეთანხმდნენ რომ სახლის ძარცვაზე, ამსრულებელი შეთანხმების ზღვარს გასცდა და ჩაიდინა არამარტო ძარცვა, არამედ სახლის მესაკუთრის მკვლელობაც, რომელიც მოულოდნელად დაბრუნდა სახლში. ამ შემთხვევაში, მკვლელობის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ამსრულებელს. სხვა მონაწილენი კი დაისჯებიან მხოლოდ ძარცვაში მონაწილეობის მიღების გამო. არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ მათ (თანამონაწილეებს, ორგანიზატორს, წამქეზებელსა და ხელშემწყობ პირს/პირებს) დავაკისროთ მკვლელობისთვის პასუხისმგებლობა, რადგანაც მათ ქმედებაში არ არის არც ობიექტური (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მათ ქმედებასა და მკვლელობაში), არც სუბიექტური(მკვლელობის მიზანი) მიზეზები თანამონაწილეობისა ამსრულებლის მიერ ჩადენილ მკვლელობაში.<sup>58</sup>

## 2.5. თანამსრულებლობითა და თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობის საფუძველი

თანამსრულებლისა და თანამონაწილის მიერ ჩადენილი დანაშაულის დასჯადობის საფუძველი მოცემულია სსკ-ის 25-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, ამსრულებლისა და თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა ხარისხის გათვალისწინებით. მუხლის მეორე ნაწილში საუბარია იმაზე, რომ თანამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მიუთითებლად. (სსკ-ის 25-ე მუხლი, მე-2 ნაწილი). აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ თანამსრულებელი ქმედების შემადგენლობას ახორციელებს ისევე როგორც ამსრულებელი.

<sup>57</sup> Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации. А.В Наумов Статья 36; ст 125

<sup>58</sup> Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации. А.В Наумов Статья 36; ст 125

ვინაიან თანამსრულებელი არის იგივე ამსრულებელი, მის მიერ განხორციელებული ქმედება პირდაპირ გვაძლევს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრულ შემადგელობას სწორედ ამიტომ მისი ქმედების კვალიფიკაციისათვის საკმარისია კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის მითითება. თუმცა, ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის გვჭირება როგორც კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი, ასევე მითითება 24-ე მუხლზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თანამონაწილეობა ამავედროულად არის თანამსრულებლობაც.<sup>59</sup>

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს არ გვაძლევ უშუალოდ დანაშაული, არამედ საფუძველია თითოეულის განზრახვის ერთიანობა, როგორც მათი თანაბრალეულობის საფუძველი, ცხადია თითოეულის მონაწილეობის ბრალის შესაბამისად. როგორც უკვე ვთქვით, დანაშაული სამი ელემენტისაგან შედგება, ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი და იმისათვის რომ დანაშაული იყოს სახეზე აუცილებელია სახეზე იყოს დანაშაულის სამსაფეხუროვანი სისტემის სამივე ელემენტი.

პროფესორ ოთარ გამყრელიძის მოსაზრების მიხედვით, თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა ერთ საერთო საფუძველს ემყარება, ეს არის მართლწინააღმდეგო ქმედება, სისხლისსამართლებრივი უმართლობა. მისი მოსაზრების მიხედვით, ერთი საერთო უმართლობის გარეშე არ არსებობს თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა. უმართლობა დასჯადობის ობიექტური საფუძველია და მისი არსებობა აუცილებელია თანამონაწილის პასუხისმგებლობისათვის. იმისათვის რომ არ მოხდეს კოლექტიური პასუხისმგებლობა, საჭიროა თითოეულმა თანამონაწილემ პასუხი აგოს იმ ქმედებისათვის რაც მან განახორციელა ანუ საკუთარი ბრალისათვის.<sup>60</sup>

დანაშაულში თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, ეს ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ განხორციელების გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა შეუძლებელია.

<sup>59</sup> ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი, გვ.: 283

<sup>60</sup> ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი, გვ.:282

ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობის დადგენისათვის გამოიყენება ობიექტური და სუბიექტური პირობები.<sup>61</sup>

როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი). მუხლის ამ ნაწილში იგულისხმება, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი ფორმა.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორილ ხასიათთან მიმართებით, საუბრობს ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, იგი ამბობს, რომ: თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორულ ხასიათს არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ამსრულებლის და თანამონაწილის ქმედება სსკ სხვადასხვა მუხლებით (პრივილეგირებული ან კვალიფიციური შემადგენლობანი) შეიძლება დაკვალიფიცირდეს.<sup>62</sup>

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია თანამონაწილენი მოქმედებდნენ სხვადასხვა მოტივით, დანაშაულის კვალიფიკაცია უცვლელია იმ შემთხვევაში თუ მათ ერთმანეთის ქმედება მეტ-ნაკლებად შეგნებული აქვთ. რაც შეეხება მიზანს, მიზანი მათ საერთო აქვთ, ხოლო თუ მიზანი განსხვავებულია მაშინ დანაშაულში თანამონაწილეობა სახეზე არ გვექნება, შესაძლებელია თანამონაწილეს ან ამსრულებელს ახასიათებდეს რაიმე კონკრეტული მიზანი რომელიც არ ახასიათებს სხვას. ყველა თანამონაწილე მოქმედებს განზრახვით თუმცა შესაძლებელია თანამონაწილე მოქმედებდეს ევენტუალური განზრახვით, მაშინ როცა ამსრულებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.<sup>63</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს პრობლემა, თანამონაწილისა და ამსრულებლის გამიჯვნასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები.

სისხლის სამართალში მოქმედებს ე.წ. ლიმიტირებული აქცესორულობის პრინციპი. თანამონაწილის პასუხისმგებლობა ამსრულებლის მიერ ჩადენილ ძირითად ქმედებაზეა დამოკიდებული, თუმცა შესაძლებელია ეს ქმედება არც იყოს ბრალეული. იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა რამდენიმე პირი, თავდაპირველად

<sup>61</sup> ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართალი სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი (გურამ ნაჭყებია), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი, გვ.: 294-295;

<sup>62</sup> ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011 წელი, გვ.208

<sup>63</sup> ავტორთა ჯგუფი, სისხლის სამართალი სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი (გურამ ნაჭყებია), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი, გვ.: 296-297

უნდა გავიგოთ თუ ვინ ჩაიდინა ძირითადი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ეს კი აუცილებელია იმისათვის რომ იგივე უმარლობისთვის აგოს პასუხი თანამონაწილემ.<sup>64</sup>

აღსანიშნავია რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ შემუშავებულია სამი ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს ძირითად და დამატებით პასუხისმგებლობას. ეს ელემენტებია მოიცავს დანაშაულზე კონტროლის კონცეფციას, მატერიალურ და მენტალურ ელემენტებს.<sup>65</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დაინტერესებულია გასამართლებასა და დასჯაში ინდივიდუალების და არა სახელმწიფოების. როგორც ნიურბერგის პროცესზე(1946) დაიწერა საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ დანაშაულები ჩადენილია ხალხის მიერ და არა აბსტრაქტული ერთეულების. მხოლოდ ინდივიდების დასჯით, რომელთა მიერაც არის ჩადენილი დანაშაული, შეიძლება საერთაშორისო სამართლის დადგენილებების განხორციელება. აღნიშნული აზრი ფიქსირდება რომის სტატუტის 25-ე მუხლში. გეგმა, რომლის მიხედვითაც სასამართლო ახორციელებს თავის იურისდიქციას იურიდიულ პირებთან მიმართებაში და ამასთან დამატებით ინდივიდუალებზე. მიუხედავად იმისა რომ, ყველა ეროვნულ, ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებში გათვალისწინებულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, მათი მიდგომები კორპორაციულ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავდება.<sup>66</sup>

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, როგორც მისი ადრეული მოდელები ნიურბერგში, ჰააგასა და არუშაში, მიზნად ისახავს „მსხვილი“ კრიმინალების პასუხისმგებლობას. მნიშვნელოვანი წილი მათი პირებისა არ არიან სუბიექტები რომელიც უშუალოდ „ისვრის ხელს ხორცსა და სისხლში“. ისინი, უფრო არიან თანამონაწილენი, რომლებიც გეგმავენ და აქეზებენ გენოციდს, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებს, ომის დანაშაულებს. სასამართლოს აქვს 2 განსხვავებული მიდგომა აღნიშნულთან დაკავშირებით.

პირველი მიდგომის მიხედვით, ადამიანები რომლებიც გეგმავენ და აორგანიზებენ ზემოაღნიშნულ დანაშაულებს, უნდა განვიხილოთ როგორც

<sup>64</sup> მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2013 წელი, გვ.: 333-334.

<sup>65</sup> გიორგი დგებუაძე, სადისერტაციო ნაშრომი დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თბილისი, 2017 წელი, გვ.125

<sup>66</sup> William A. Schabas - AN INTRODUCTION TO THE INTERNATIONAL CRIMINAL COURTS, Thir Edition, Cambridge, university press, page 211



მთავარი დამნაშავენი. იერუსალიმის რაიონულმა სასამართლომ ადოლფ ეიხმანი ჩათვალა მთავარ დამნაშავედ ისევე როგორც სხვა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დოკუმენტის გაყალბებაში. ლუბანგას ბრალი წაუყენეს რომის სტატუსის 25(3) მუხლის მიხედვით. რუანდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სააპელაციო პალატის მოსამართლე შომბურგმა, ხაზი გაუსვა „თანა-დამნაშავეობის“ მნიშვნელობას 25(3) მუხლის მიმართებაში: ფართო აღიარება თანა-დამნაშავეობისა და ირიბი დამნაშავეობის, ICC სტატუტი არ ქმნის ახალ კანონს ამ განხრით იგი ირეკლავს უკვე არსებულს. აქვე, საინტერესოა, რომ 2006 წლის მარტში, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ უარყო კონცეფცია “co-perpetration“ აირჩია რა მის ნაცვლად “joint criminal enterprise.” - თანამონაწილე. თუმცა აღნიშნული საქმე კამათის საგანია მოსამართლეებს შორის დღემდე.<sup>67</sup>

## 2.6. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა

თანამონაწილეობითა და თანამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვა, სწორედ აღნიშნული საკითხი იწვევს მეცნიერთა ფართო დისკუსიას. ორგანიზებული დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისას, არ დაირღვეს სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, აღნიშნული საკითხი გადაჭრა საერთაშორისო სასამართლოებმა კანონის ინტერპრეტაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ე.წ. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის (Joint Criminal Enterprise) ცნებით სცადეს.<sup>68</sup>

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულების პასუხისმგებლობის გამართლება ან უარყოფა დამოკიდებულია სამართლებრივი სისტემის ბუნებაზე. აქ აღსანიშნავია, რომ რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსური სამართლის სისტემების მიერ პრინციპები განსხვავებულადაა გაგებული. მაგალითად განსაკუთრებულ დავას

---

<sup>67</sup> William A. Schabas - AN INTRODUCTION TO THE INTERNATIONAL CRIMINAL COURTS, Thir Edition, Cambridge, university press, page 212

<sup>68</sup> ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ირაკლი დვალიძე, გვ.124

იწვევს ისეთი საკითხები როგორცაა: პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობისა და კანონიერების პრინციპის დარღვევა, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, არის პასუხისმგებლობის ფორა თუ პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი საფუძველი და აქვს თუ არა სასამართლოს კანონის ინტერპრეტაციის იმგვარი უფლება რომ მან ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობა დააფუძნოს. ამ საკითხის გასარკვევად, საინტერესოა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის საზღვრების დადგენა.<sup>69</sup>

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის, *sui generis*<sup>70</sup> საკითხი საერთაშორისო სისხლის სამართალში, რაც გულისხმობს რაღაც განსხვავებულსა და იდივიდუალურს.

ეროვნული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად მიიჩნევა ინდივიდუალურ ბრალს, რაც გულისხმობს დანაშაულში პირის პასუხისმგებლობას ინდივიდუალური ბრალის მიხედვით. რაც შეეხება საერთაშორისო სამართალს, ამ შემთხვევაში საკითხი შედარებით რთულადაა, ვინაიდან მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისო სამართალში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ შერაცხვაზეა დაფუძნებული, მაინც არსებობს გარკვეული გაურკვეველობა ინდივიდუალურ ბრალთან დაკავშირებით, რაც ძირითადად გამოწვეულია ისეთი დანაშაულის არსებობით, როგორც არის დანაშაულებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობა.<sup>71</sup>

დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვა შესაძლებელია ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის მიზანთან არის პირდაპირ კავშირში, კონკრეტული შედეგი სწორედ კონკრეტულ ინდივიდს, ანუ სუბიექტს ერაცხება და შესაბამისად დგებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც. იმისათვის რომ მძიმე დანაშაულში დამტკიცეს პირის ბრალეულობა, საკმარისი არ არის რომ იგი ეხმარებოდა გაერთიანებას, არამედ ამ შემთხვევაში მისი ბრალეულობის დასამტკიცებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ კონკრეტულად რაში შეიტანა მან წვლილი.

---

<sup>69</sup> ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ირაკლი დვალიძე, გვ.124

<sup>70</sup>[https://www.law.cornell.edu/wex/sui\\_generis?fbclid=IwAR1XyQlmKEs\\_Wad25SUVeABfFokB5I8GYIG28CaSNSMFzsZ7fyZbzs9I98](https://www.law.cornell.edu/wex/sui_generis?fbclid=IwAR1XyQlmKEs_Wad25SUVeABfFokB5I8GYIG28CaSNSMFzsZ7fyZbzs9I98) ბოლო გადამოწმების თარიღი 14.07.2019

<sup>71</sup> გიორგი დგებუაძე, სადისერტაციო ნაშრომი დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თბილისი, 2017 წელი, გვ. 20

საერთაშორისო სამართალში გამოკვეთილია ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობის რამდენიმე სახე, ეს არის, დანაშაულში შეთქმულება, საერთო მიზანი და დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობა. დანაშაულის შეთქმულება მოითხოვს შეთანხმების არსებობას, ამავეს მოითხოვს „საერთო მიზნის“ დოქტრინა და დამატებით ასევე საჭიროებს იმ ქმედების შესრულებას, რომელიც გეგმით არის გათვალისწინებული. რაც შეეხება დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობას, ამ შემთხვევაში აღნიშნული მოითხოვს ორგანიზაციაში გაერთიანებას, თავად დანაშაულის ბუნების ცოდნასა და ნებელობით აქტიურ მონაწილეობას.<sup>72</sup>

აღსანიშნავია რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, რომის წესდების 25-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, პირი რომელიც არ ჩადის დანაშაულს საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ, თუმცა წახალისებს სხვას, რომ ჩაიდინოს აღნიშნული ქმედება, ასევე პასუხისმგებელია საერთაშორისო სისხლის სამართლის წინაშე. შესაძლებელია რომ გავაცალკევოთ ერთმანეთისგან დანაშაულის ჩადენის ბრძანება და პირის წაქეზება, რომ ჩაედინა აღნიშნული დანაშაული. მიჩნეულია, რომ გენოციდის წაქეზება, არასწორად რეგულირდება, იგი არის დანაშაული და არა უბრალო მონაწილეობა მასში.<sup>73</sup>

ნებისმიერი ვინც გასცემს ბრძანებას დანაშაულის ჩადენაზე საერთაშორისო სამართლის მიხედვით არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამნაშავე. ბრძანება გულისხმობს ტიპური სამხედრო სუბორდინაციული ურთიერთობის არსებობას ბრძანების გამცემსა და ბრძანების მიმღებს შორის. დამნაშავე იყენებს მის ძალაუფლებას რომ გამოიწვიოს სხვა პირის დანაშაულის ჩადენა.<sup>74</sup>

პირი რომელიც აქეზებს ან ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ, ითვლება ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავედ. ICTY-ს იურისპრუდენციის მიხედვით, ის რომელიც კარნახობს მეორეს ქმედებით თუ უმოქმედობით, რომ ჩაიდინოს დანაშაული, არის წამქეზებელი. როგორც წესი, ეს შედეგი დგება ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად. თუმცა, ფიზიკური წაქეზებაც არის ასევე დამარწმუნებელი. მთავარი დამნაშავეც კი, რომელსაც გადაწყვეტილი

---

<sup>72</sup> გიორგი დგებუაძე, სადისერტაციო ნაშრომი დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თბილისი, 2017 წელი, გვ. 44

<sup>73</sup> Principles of International Criminal Law, Gerhard Werle, Asser Press, 2005, page 124

<sup>74</sup> იქვე

ჰქონდა რო დანაშაული ჩაედინა შესაძლოა წააქეზონ, რომ იმოქმედოს. წაქეზების ჯაჭვი არის შესაძლებელი. წამქეზებელი არ არის პასუხისმგებელი პირის ექსცესზე, რომელიც მოქმედებს თავისი წაქეზებით.<sup>75</sup>

მთავარ ამსრულებელზე დახმარება შესაძლოა იყოს საკმარისი საფუძველი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა. ეს ცნობილია, როგორც პრეცედენტული საერთაშორისო სამართალი და დამტკიცებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. ნებისმიერი ადამიანი ვინც ეხმარება, აქეზებს ან სხვა ხერხით მხარს უჭერს დანაშაულის ჩადენას საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ, არის საერთაშორისო სისხლის სამართლის პასუხისმგებელი. პასუხისმგებლობა მთავარ დამნაშავეზე ხელშეწყობის ასევე განმარტებულია იუგოსლავიის ტრიბუნალის განჩინებებში. დახმარება არ არის აუცილებელი გაწეულ იქნას იმ ლოკაციაზე ან იმ დროს როცა და სადაც დანაშაული აღსრულდა. საკმარისია დანაშაულის ჩადენაში დახმარება ან დანაშაულის ჩადენაზე სუბსტანციური ეფექტის მოხდენა. დამნაშავის წახალისება ან სხვა მორალური მხარდაჭერის ჩვენება, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა იყოს საკმარისი. არ არის აუცილებელი დახმარებისთვის, რომ პირი უშუალოდ იყოს დაკავშირებული აღნიშნულ დანაშაულთან.<sup>76</sup>

დებულება, კერძოდ 1 და 2 პუნქტები, ადასტურებს უნივერსალური თანხმობის პრინციპებს ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა როგორც აღიარებულია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ და დამტკიცებულია ICTY-ს(ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი) მიერ ტადიჩის ქეისის გადაწყვეტილებაზე ჟენევის კონვენციის მესამე მუხლის ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიხედვით.<sup>77</sup>

მესამე პუნქტის (ა) – (გ) ქვეპუნქტი ქმნის ძირითად წესებს ინდივიდის როლზე სისხლის სამართალში. „ა“ ქვეპუნქტი ეხება დანაშაულის 3 ფორმას: ჩაიდენს აღნიშნულ დანაშაულს პირადად, როგორც თანა-ამსრულებელი ან სხვა ადამიანის მეშვეობით. „ბ“ ქვეპუნქტი შეიცავს მონაწილეობის სხვადასხვა ფორმას: ერთის მხრივ, ბრძანებას (მცდელობა) დანაშაულისას, მეორეს მხრივ აღნიშნულის შუამდგომლობა ან ხელშეწყობა. „გ“ ქვეპუნქტი ქმნის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დახმარებისა და წაქეზებისთვის როგორც მონაწილეობის დამხმარე ფორმა.

<sup>75</sup> Principles of International Criminal Law, Gerhard Werle, Asser Press, 2005, page 125

<sup>76</sup> Principles of International Criminal Law, Gerhard Werle, Asser Press, 2005, page 125-126

<sup>77</sup> The Rome Statute of the International Criminal Court, A commentary, Third Edition, Otto Triffterer, Kai Ambos 2016 page 983-984

ამრიგად, საერთაშორისო სამართლის დანაშაულთა კოდექსისგან, რომელიც მიმართულია მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოებისკენ, განსხვავებით „ად ჰოვ“-ის ტრიბუნალის სტატუტის და ე.წ შერეული ტრიბუნალების (სპეციალური სასამართლო სიერა ლეონესი და კამბოჯის საგანგებო პალატა), მესამე პუნქტი განსხვავებას აკეთებს დანაშაულის ჩადენასა („ა“ ქვეპუნქტი) და მონაწილეობის სხვა ფორმებს შორის („ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები), ამ უკანასკნელთან ერთად დაამკვიდრა რა პასუხისმგებლობის სხვადასხვა ხარისხი.

ეს მიდგომა ადასტურებს, რომ ზოგადი ტენდენცია, შედარებით სისხლის სამართლებრივთან, უარყოფს დანაშაულის ჩადენის უნიტარულ კონცეფციას და განასხვავებს მონაწილეობის ხარისხის მიხედვით სასჯელის მისჯის დონეს. ამ მიდგომას ასევე მისდევს, თუმც ნაკლებად დახვეწილად, საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი აღმოსავლეთ ტიმორისთვის. სინამდვილეში, 25-ე მუხლი დიფერენცირებს პასუხისმგებლობის განაწილების დონეზე, ყველაზე ცოტა ტერმინოლოგიურად მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს შორის და შესაბამისად, მიუყვება დანაშაულის ჩადენის უნიტარულ კონცეფციას ფუნქციონალური გაგებით, როგორც მაგალითად ავსტრიის და შვედეთის კანონმდებლობა. „დ“, „ე“ და „ფ“ ქვეპუნქტები გვამღებს ინფორმაციას დანაშაულის ჩადენაში ან/და მცდელობაში, გენოციდის წაქეზება/მცდელობაში კონტრიბუციის თაობაზე.<sup>78</sup>

ამგვარად, 25-ე მუხლის მესამე პუნქტი შეიცავს, როგორც ინდივიდუალურ ასევე თანამონაწილეობრივ(რომელიც შესაძლოა კვალიფიცირდეს როგორც მონაწილეობის სპეციფიკური ფორმა) სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ინდივიდი არის სისხლის სამართლებრივად პასუხისმგებელი, იმ შემთხვევაში თუ ის ჩაიდენს დანაშაულს, ან მონაწილეობას მიიღებს ან შეეცდება რომ ჩაიდინოს დანაშაული საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განსჯადობაში. თუმცა ეს არ სეიძლება აღიქვას ისე, რომ თანამონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართალში უნდა განსხვავდებოდეს თანამონაწილეობისგან ეროვნულ/ნაციონალურ კანონმდებლობაში. თუ მოგვიანებით, კონკრეტული სისხლისსამართლებრივი შედეგი, გამოწვეული პირის ინდივიდუალური აქტისგან, არის დასჯადი, საერთაშორისო სისხლის სამართალი ქმნის პასუხისმგებლობას იმ აქტებისათვის, რომლებიც ჩადენილია კოლექტიურ კონტექსტში და სისტემური სახით. შესაბამისად,

---

<sup>78</sup> The Rome Statute of the International Criminal Court, A commentary, Third Edition, Otto Triffterer, Kai Ambos 2016 page 984-985

ინდივიდუალური საკუთარი წვლილი მავნე შედეგში, ყოველთვის არ არის ცხადი.<sup>79</sup>

## 2.7. თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის საკითხი სხვა ქვეყნების სამართალში

როგორც აღვნიშნეთ, თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის საკითხს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სამართალშიც.

როგორც სხვა ნებისმიერ ეროვნულ კანონმდებლობაში, ასევე საერთაშორისო სისხლის სამართალში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება არამარტო მაშინ როცა პირი უშუალოდ ჩადის დანაშაულს, არამედ მაშინაც როცა ის მონაწილეობს დანაშაულებრივ ქმედებაში.

ბევრი სისტემა(მაგალითად აშშ-ს, საფრანგეთის, ავსტრალიის, იტალიის, ურუგვაის, ავსტრიის) არ აკეთებს განსხვავებას დანაშაულის თანამონაწილეობის კატეგორიებში და შესაბამისად არ აკისრებს სხვადასხვა პასუხისმგებლობას სხვადასხვა „კლასებს“ (მონაწილეებს). ეს სისტემები ადგენენ, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა წვლილი მიუძღვის ამა თუ იმ ადამიანს კონკრეტულ დანაშაულში, უნდა ჩაითვალოს მთავარ დამნაშავედ. შედეგად, თანამონაწილეებს აკისრებენ იგივე პასუხისმგებლობას რასაც დააკისრებდნენ მთავარ დამნაშავეს. როგორც კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია, ყველა ვინც „ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში“, იმ პირების ჩათვლით, ვინც წააქეზა, დაეხმარა დანაშაულის ჩადენაში, უნდა გასამართლდნენ ისე, როგორც მთავარი დამნაშავე (ამსრულებელი).<sup>80</sup>

მიუხედავად ამისა, განსხვავება ხშირად კეთდება თანამონაწილეობის სამ კატეგორიას შორის: ერთის მხრივ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, და დანარჩენი ორი კატეგორია - ერთობლივი პასუხისმგებლობა, დანაშაულის წააქეზება, დანაშაულის ჩადენაში ხელშეწყობა. მიუხედავად განსხვავებისა ამგვარ ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებში, თუ სასჯელს ვიღებთ მხედველობაში, კანონი ამ სამ კატეგორიას არ ანსხვავებს ერთმანეთისგან, ან მინიმუმ სასჯელზე განსხვავება არ ხდება. მხოლოდ, დადგენილია, რომ თანამონაწილეობა შემამსუბუქებელ გარემოებაში შესაძლოა მიღებულ იქნას მხედველობაში, თუ მათი მონაწილეობა

<sup>79</sup> The Rome Statute of the International Criminal Court, A commentary, Third Edition, Otto Triffterer, Kai Ambos 2016 page 985

<sup>80</sup> International Criminal Law Antonio Cassese, Publisher – Oxford University Press, 2003, page 179

დანაშაულში არის ნაკლებად სერიოზული ვიდრე ამსრულებლის ან ამსრულებლების. ამ შემთხვევაში, მოსამართლეები ხშირად აკეთებენ განსხვავებას ამსრულებლებს, წამქეზებლებს და დამხმარეებს შორის.

სხვა ეროვნულ/ნაციონალურ კანონმდებლობებში (მაგალითად გერმანია, რუსეთი) კანონი ძირითად განსხვავებას აკეთებს 2 კატეგორიას - ამსრულებლებსა და თანამონაწილეებს შორის, და ადგენს, რომ თანამონაწილე შესაძლოა დაისაჯოს ნაკლებად მკაცრად. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, პასუხისმგებლობის შკალა თანამონაწილეობისათვის არის ნაკლებად მკაცრი ვიდრე მთავარი დამნაშავეის.<sup>81</sup>

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: ერთ-ერთ საქმეზე ბრალდებული იყო 7 გერმანელი. 1944 წლის ივლისიდან 1945 წლის აპრილამდე პერიოდში, ამ ადამიანებმა დახოცეს 400 პოლონელი და რუსი ეროვნების ადამიანი, რომლებსაც ავალდებულებდნენ ემუშავათ გერმანიისთვის. ისინი იყვნენ დაავადებულნი ტუბითა და პნევმონიით. წაიყვანეს ჰადამარში(გერმანიაში), სადაც იყო საავადმყოფო, რომელიც იყო შექმილი იმისთვის რათა ემკურნალათ ადამიანებისთვის, თუმცა არ იყო სამედიცინო შესაძლებლობა, რომ დახმარებოდნენ პნევმონიითა და ტუბით დაავადებული ადამიანებისთვის. საბოლოოდ, გერმანელებმა დახოცეს ეს ადამიანები ინექციით, ხოლო სამედიცინო დასკვნა და გარდაცვალების მოწმობები გააყალბეს. ამისთვის დადანაშაულეს კლეინი, ლოკალური ნაცისტური პარტიის ლიდერი, რომლის მეთაურობითაც მოხდა ეს საშინელება. ასევე, ვაჰლმანი, ფიზიკოსი რომლის სპეციალიზაციაც იყო მენტალური დაავადებები, ინსტიტუტის ერთი ექიმი (მან მიიღო მონაწილეობა კონფერენციაზე სადაც დაიგეგმა მკვლევლობები, იცოდა რაც ხდებოდა საავადმყოფოში). 3 მედდა, რომლებმაც დანიშნეს მომწამვლელი წამალი. მერკლე(ინსტიტუტის ბუღალტერი, რომელმაც დაარეგისტრირა პაციენტები და მათი გარდაცვალების მოწმობები) და ბლუმი, მეკარე და ტელეფონის ოპერატორი, რომელიც ასევე ზედამხედველობდა სასაფლაოს. ყველა მათგანს წაუყენეს ბრალი საერთაშორისო სამართლის დანაშაულში. ბრალში ეწერა, რომ ეს 7 ბრალდებული იყო ერთად ქმედებასა და საერთოდ მიზნის ერთად განხორციელებაში, რომ ერთად განზრახ, თავიანთი სურვილით დაეხმარა, წააქეზა და მიიღო მონაწილეობა ადამიანების ხოცვაში პოლონელი და რუსი ეროვნებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით, პროკურორმა განაცხადა: ყველა

<sup>81</sup> International Criminal Law Antonio Cassese, Publisher – Oxford University Press, 2003, page 179-180

მათგანი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ნებისმიერ ხარისხით აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში, არის იმავე დოზით დამნაშავე, როგორც ის პირი, რომელმაც რეალურად „გამოჰკრა ხელი სასხლეტს“. ყველა ვინც მონაწილეობას იღებს ნებისმიერი სახის დანაშაულის ჩადენაში, იქნება თანამონაწილე თუ არა, ახლა არიან თანამსრულებლები და იყვნენ ამდენი წლის განმავლობაში. დაცვის მხარემ არ გაასაჩივრა ეს კონცეფცია, მაგრამ მათ არჩიეს რომ გასამართლებულიყვნენ გერმანული კანონმდებლობით, ვიდრე აშშ-სა ან/და საერთაშორისო სამართლის მიხედვით. სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდება. საავადმყოფოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და 2 მედდას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, ფიზიკოსს (70 წლის მოხუცი) სამუდამო პატიმრობა და მძიმე შრომა. მესამე მედდას - 25 წელი და მძიმე სამუშაო, ხოლო დარაჯს (სასაფლაოს ზედამხედველს) - 30 წელი მძიმე შრომასთან ერთად.<sup>82</sup>

რაც შეეხება კონკრეტულად, დანაშაულის ჩადენაში დახმარებასა და წაქეზებას, პირი შესაძლოა მონაწილეობდეს დანაშაულში - ეხმარებოდეს რა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში, თუმცა მთავარი ამსრულებლის ზრახვების გაზიარების გარეშე. დახმარება და წაქეზება შესაძლოა გამოიხატოს თანამონაწილის მიერ პრაქტიკული დახმარებით, ჩართულობით ან/და მორალური მხარდაჭერით მთავარ ამსრულებელზე. ამას დამატებით, ასეთ დახმარებას, მხარდაჭერას უნდა ჰქონდეს არსებითი გავლენა დანაშაულის ჩადენაზე. სუბიექტური ელემენტი მიეკუთვნება თანამონაწილის ცოდნას, რომ მისი ქმედებები ეხმარება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში. ამისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი იმ ვარაუდის დაშვება, რომ დამხმარე ან/და წამქეზებელი იზიარებს მთავარი ამსრულებლის საერთო გეგმას ან კრიმინალურ ზრახვებს. მთავარმა ამსრულებელმა შესაძლოა საერთოდ არ იცოდეს თანამონაწილის კონტრიბუციის შესახებ. საჭიროა, რომ პირმა, რომელიც ეხმარება და მხარს უჭერს დანაშაულის ჩადენას, იცოდეს რომ მისი ქმედებები ხელს უწყობს და ეხმარება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში.<sup>83</sup>

არსებობს უამრავი სხვადასხვა შემთხვევა, მაგალითისთვის აკაიესუს საქმე. აკაიესუ იყო ტაბა-ს მერი (რუანდაში). თავდაპირველად, ტაბას ლიდერი იყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, მოსახლეობის მიერ დაფასებული ადამიანი. როგორც მოგეხსენებათ, 1994 წლის 7 აპრილიდან ამავე წლის ივნისის ბოლომდე ტუცის ძალიან დიდი რაოდენობა დაიხოცა

<sup>82</sup> International Criminal Law Antonio Cassese, Publisher – Oxford University Press, 2003, page 181-187

<sup>83</sup> International Criminal Law Antonio Cassese, Publisher – Oxford University Press, 2003, page 185



ტაბაში. როგორც ცნობილია, აკაიესუ თავდაპირველად შეეწინააღმდეგა და სცადა ტუცის მკვლელობების პრევენცია, თუმც ეს ყველაფერი ხდებოდა 1994 წლის 18 აპრილამდე. ამ თარიღის შემდგომ, ირკვევა, რომ აკაიესუმ არამარტო შეწყვიტა სიტუაციის გაკონტროლების მცდელობები თავის კომუნაში, არამედ თვითონ ესწრებოდა ძალადობისა და მკვლელობის აქტებს. ასევე, მისივე ბრძანებით ხდებოდა უამრავი ტუცის მკვლელობა. რუანდის სასამართლო დარბაზის თქმით, აკაიესუ შესწრებია უამრავ საშინელ ინციდენტს, როგორცაა გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა ტუცის ქალების მიმართ. ის ასევე ახალისებდა მსგავს ქცევებს. სასამართლომ დაასკვნა, რომ მან წააქეზა უამრავი ტუცის მკვლელობა, გაუპატიურება, მენტალური ზიანის მიყენება. იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა გამოიძია აღნიშნული საქმე. სასამართლო პროცესის პალატამ, ბრალდებული დამნაშავედ ცნო დამამცირებელი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისთვის, მათ შორის გაუპატიურებისთვის.

84

აღსანიშნავია, რომ არსებითად მსგავსია გერმანული და ქართულ სისხლის სამართლის მიდგომა თანამონაწილისა და თანაამსრულებლის ფიგურების დიფერენცირებასთან მიმარებით, კერძო ორივე შემთხვევაში, განსხვავებისას გამოიყენება დუალისტური მიგომა.<sup>85</sup>

ასევე მსგავსია თანამონაწილის და თანაამსრულებლის ფორმებიც. კერძოდ, როგორც ქართულ ასევე გერმანული სამართლის სისტემის მიხედვით, სისტემაში, ამსრულებელი არის ის, ვინც ქმედებას ახორციელებს უშუალოდ (უშუალო ამსრულებელი) ან სხვა პირის მეშვეობით ან სხვა პირთან ერთად (თანაამსრულებელი).<sup>86</sup>

სამართლის ორივე სისტემა იცნობს თანამონაწილეობის შემდეგ ფორმებს, წამქეზებლობა და დახმარება, თუმცა გერმანული სამართალი არ შეიცავს თანამონაწილის ისეთ ფორმას, როგორცაა ორგანიზატორი, განსხვავებით ქართული სამართლისაგან. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხის გამიჯვნასთან დაკავშირებით, გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული მოძღვრება და სასამართლო

---

<sup>84</sup> International Criminal Law Antonio Cassese, Publisher – Oxford University Press, 2003, page 188-189

<sup>85</sup> ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2012 წელი, გვ.112

<sup>86</sup> ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2012 წელი, გვ.112

წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან.<sup>87</sup> როგორც სასამართლო, ასევე მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მოსაზრების მიხედვით როგორც ამსრულებლის ასევე თანამონაწილის სურვილი გამომდინარეობს კუმულაციურად კონკრეტული შედეგისადმი ინტერესით.<sup>88</sup>

თუმცა ამის საწინააღმდეგოდ არსებობს გაბატონებული მოძღვრება, რომლის მიხედვითაც საჭიროა კუმულაციურად არსებობდეს, როგორც შედეგისადმი ინტერესი, თანამონაწილის როლი და ქმედებაზე მინიმუმ ბატონობის სურვილი, აღნიშნული მოსაზრება ეკუთვნის კლაუს როქსინს, რომელიც ქმედებაზე ბატონობის თეორიას ანიჭებს უპირატესობას. ქმედებაში ბატონობაში კი მოიაზრება ქმედების განხორციელების „ხელთ პყრობა“. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ამსრულებელი არის ის ვინც, არის ცეტრალური ფიგურა თავისი სურვილის მიხედვით წარმართავს ქმედებას, ხოლო თანამონაწილე არის ის ვინც ან ქმედების განხორციელებისაკენ უბიძგებს ან ხელს უწყობს ამსრულებელს.<sup>89</sup>

ასევე მნიშვნელოვანია ინგლისის სისხლის სამართალი, სადაც გამოიყენება ტერმინი თანამონაწილენი, რომელშიც იურისტთა ერთი ნაწილის მოსაზრების მიხედვით იგულისხმება, ნებისმიერი თანამონაწილე მათ შორის ამსრულებელი, ხოლო მეორე მოსაზრების მიხედვით იგულისხმება მხოლოდ ისინი ვინც ეხმარებიან ანაშაულის ჩადენაში, აქეზებენ და ა.შ. თუმცა თანამედროვე დოქტრინის მიხედვით ამსრულებელი არის ის, ვინც საკუთარი ხელით ან სხვა შუამავლის მეშვეობით ახორციელებს დანაშაულს, რომელიც თავის მხრივ ბრალის გამომრიცხველი გარემოებების გამო ითვლება უდანაშაულო. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ პირს ჰქონდეს მენტალური ელემენტი რომ ჩაიდინოს დანაშაული, ასევე ცოდნა იმისა რომ ერთის ქმედებით ან უმოქმედობი შესაძლებელია დანაშაულის გამოწვევა, სწორედ აღნიშნულია აუცილებელი იმისათვის რომ მოხდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უბრალოდ მხარს უჭერს კონკრეტულ დანაშაულს მისი ჩადენის შემდეგ არ შეიძლება მიიჩნეოდეს თანამონაწილედ ამ დანაშაულში, არამედ ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ აღნიშნულმა პირმა

<sup>87</sup> <http://www.dgstz.de/storage/documents/ecXTSuC7q4kdNtocOPjx83DBwhUVKScUDIRfxIXo.pdf>

ბოლო გადამოწმების თარიღი 14.07.2019

<sup>88</sup> იხ. ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2012 წელი, გვ.112

<sup>89</sup> ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2012 წელი, გვ.112

დამოუკიდებლად სხვა დანაშაულისთვის, მაგალითად დახმარებისთვის აგოს პასუხი.<sup>90</sup>

ზოგადად, პირების დიდი რაოდენობა თანამშრომლობს რათა ჩაიდინონ ისეთი დანაშაული, რომელსაც მოიცავს საერთაშორისო სამართალი. ეს ხდება მეტ-ნაკლებად დამკვიდრებული „ქსელის“ საშუალებით, რომელიც ხშირად არის სახელმწიფოს ან სამხედროს ნაწილი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ორგანიზებული. თუმცა, საერთაშორისო სამართლის დანაშაულთა კოლექტიური ხასიათი არ გვაძლევს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადგენის აუცილებლობას. ამ პროცესში, საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა კოლექტიური ქმედებების ქსელის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებებზე ინდივიდუალური წვლილის შექმნის ამოცანას ეყრდნობა. მთავარი დამატებითი გამოწვევა არის ინდივიდუალური წვლილი დანაშაულში. ეს უნდა ითვალისწინებდეს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი არ ამცირებდეს სხვაობას ფაქტობრივი აქტის ზრდისგან; ფაქტობრივად ის ხშირად იზრდება. ტიპური მაგალითია, ადოლფ აიხმანის საქმე, რომელმაც ათასობით ადამიანი დახოცა, უშუალო მსხვერპლებზე „ხელის აწევის“ გარეშე. იუგოსლავიის ტრიბუნალმა ნათლად შეაჯამა პრობლემა: „ამ დანაშაულთა უმრავლესობა არ იწვევს ცალკეული პირების კრიმინალურ მიდრეკილებას, არამედ წარმოადგენს კოლექტიური დანაშაულის მანიფესტებს: დანაშაულები ხშირად ხორციელდება საერთო დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად მოქმედი პირების ჯგუფების მიერ. თუმცა ზოგიერთმა წევრმა შეიძლება ფიზიკურად ჩაშალოს დანაშაულებრივი ქმედება. ხშირად, სხვა წევრების მონაწილეობა და კონტრიბუცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დანაშაულისთვის. მსგავსი მონაწილეობის მორალური სიმძიმე ხშირად არანაკლებ განსხვავებდა მათგან, ვინც რეალურად ჩაიდინა დანაშაული.“<sup>91</sup>

საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა და დოქტრინა ერთნაირად ეხება მონაწილეობის მოდელს, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებს. წესები, რომელნიც არეგულირებდნენ მონაწილეობის მოდელს თავდაპირველად იყო ფრაგმენტული.<sup>92</sup>

---

<sup>90</sup> ელენე გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2012 წელი, გვ.112

<sup>91</sup> Principles of International Criminal Law, Gerhard Werle, Asser Press, 2005, page 116-117

<sup>92</sup> Principles of International Criminal Law, Gerhard Werle, Asser Press, 2005, page 116

ნიურბერგის ტრიბუნალის მიერ აღიარებული წესდება შეიცავდა საკმაოდ არქაულ რეგულაციებს თანამონაწილეობაზე. ზოგიერთი მონაწილეობის მოდელი იქნა ჩართული პირდაპირ დანაშაულის დეფინიციაში. მაგალითად, მონაწილეობა საერთო გეგმაში ან შეთქმულებაში ომის გაჩაღების თაობაზე იყო დანაშაული. ნიურბერგის წესდების მეექვსე თავის (ც პუნქტი) მიხედვით, ლიდერები, ორგანიზატორები, წამქეზებლები და თანამონაწილენი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთო გეგმის ფორმულირებასა ან/და შესრულებაში, ან შეთქმულებაში რომ ჩაედინათ დანაშაული საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ იყვნენ პასუხისმგებლები იმ შემთხვევაშიც კი თუ ამ გეგმის შესრულებაში მთავარი მოქმედი პირი იყო სხვა. ამის მიხედვით, თანამონაწილეობა საერთაშორისო სამართლის დანაშაულში არის დანაშაული საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ.<sup>93</sup>

შედარებით ნიუანსირებული დებულება შესაძლოა ვნახოთ საკონტროლო საბჭოს კანონის მეორე მუხლში. ის განსხვავებას აკეთებს ამსრულებლებსა და თანამონაწილეებს შორის. თანამონაწილე იყო პირი, რომელიც ეხმარებოდა დანაშაულის ჩადენაში, უბრძანა ან წააქეზა, მიიღო საკმარისი მონაწილეობა მასში, რომელიც მოიცავდა დაგეგმვას ან შესრულებას, ან ეკუთვნოდა ორგანიზაციას რომელმაც ჩაიდინა არსებული დანაშაული. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის პასუხისმგებლობა მშვიდობის წინააღმდეგ გავრცელდა იმ ხალხზეც, რომელთაც ეკავათ მაღალი პოლიტიკური, სამოქალაქო თუ სამხედრო პოზიციები გერმანიაში, ან/და მის მოკავშირეებში. ადრინდელი საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობის სასამართლოები უარს ამბობდნენ გაეკეთებინათ სხვაობა. ცალსახა მიზანი ნიურბერგისა და შემდგომი პროცესების იყო, რომ გამოეკვეთათ დამნაშავენი.<sup>94</sup>

ეს უხეში კონცეფცია თანამონაწილეობის სხვადასვა მოდელებისა, საერთაშორისო სამართლის კუთხით პირველად დაიხვეწა საერთაშორისო სამართლის კომისიის დრაფტებში. წინსვლა უფრო ნიუანსირებულ დოქტრინაში იყო საბოლოოდ მიღწეული იუგოსლავიის ტრიბუნალის მიერ. დღეს, რამდენიმე დანაშაულში თანამონაწილეობის მოდელს ვიცნობთ პრეცედენტულ სამართალში. სხვა ფორმები ჩამოყალიბდა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე. პრეცედენტული სამართალი მონაწილეობის

---

<sup>93</sup> Principles of International Criminal Law, Gerhard Werle, Asser Press, 2005, page117

<sup>94</sup> Principles of International Criminal Law, Gerhard Werle, Asser Press, 2005, page118

მოდელზე ჩამოყალიბდა ძირითადად იუგოსლავიის ტრიბუნალის იურისპრუდენციის მეშვეობით.<sup>95</sup>

## 2.8. თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემის მნიშვნელობა ქართულ სისხლის სამართალში

როგორ უკვე აღვნიშნეთ, თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემა მეტად აქტუალურია ქართულ სისხლის სამართალში, ამაზე საუბარია არაერთ სახელმძღვანელოში და ნაშრომში, თუმცა ყველაზე მეტად ამ ფაქტის მნიშვნელობასა და პრობლემურობას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკა, სადაც არაერთი საკითხია წამოჭრილი კვალიფიკაციის პრობლემურობის თვალსაზრისით, სწორედ ამ საკითხის თვალსაჩინოებისთვის წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილავთ რამდენიმე საქმეს.

მაგალითად, ამ საკითხის წარმოსაჩენად მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ივლისის N128აპ-17 განჩინება, რომლითაც დაუშვებლად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 30 იანვრის განაჩენზე მსჯავრდებულ ა.ა-ას ინტერესების დამცველის თ.ს-ის საკასაციო საჩივარი.

კერძოდ, საქმე ეხება, 2015 წლის 26 ივლისის ღამის საათებში ჩადენილ ქმედებას, კერძოდ, ა.ა-ამ მ.თ-ის დახმარებით უკანონოდ შეაღწია ერთ-ერთი სააქციო საზოგადოების (შემდგომში - სს) სათავო ოფისში. იგი იარაღის გამოყენებით თავს დაესხა უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტს თ.ე-ს, რომელსაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, დიდი ოდენობის თანხის დაუფლების მიზნით, მოსთხოვა სეიფის გასაღები, თუმცა სიგნალიზაციის ჩართვის შემდეგ გაიქცა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 მარტის განაჩენით ა.ა-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ) -ის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა და ბ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი.

---

<sup>95</sup> Principles of International Criminal Law, Gerhard Werle, Asser Press, 2005, page 118

თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში (2017 წლის 30 იანვრის განაჩენი), რის შემდეგაც ა.ა-ს ინტერესების დამცველმა საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სს საქმეთა პალატას საყურადღებოა მისი მოთხოვნა, ის ითხოვდა ა.ა. - ას ქმედების კვალიფიკაციას სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით რაც გულისხმობს ყაჩაღობას (დამამძიმებელი გარემოების გარეშე), ხოლო საკასაციო პალატის შეფასებით აღნიშნული საჩივარი, როგორც აღვნიშნე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

წინამდებარე გადაწყვეტილების ანალიზისას, შევხებით თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის საკითხის გამიჯვნას, რაც მეტად საინტერესო და პრობლემური საკითხია როგორც სასამართლო პრაქტიკაში ასევე დოქტრინაში და ამასთან დაკავშირებით არსებობს არაერთი თეორია.

გადაწყვეტილებაში საუბარია რომ, ა.ა-ამ მ.თ.-ის დახმარებით განახორციელა სს-ს სათაო ოფისში შეღწევა და სწორედ ეს გახდა ქმედების ჯგუფურად კვალიფიკაციის საფუძველი, დაცვის მხარე, არ ეთანხმებოდა ქმედების კვალიფიკაციას სსკ - ის 179-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებებით, კერძოდ მისი განმარტებით სახეზე არ იყო სსკ ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი რომელიც გულისხმობს ყაჩაღობას ჩადენილს ჯგუფურად.

თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხზე ყაჩაღობის დროს საუბარია სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I-ის, ავტორთა კოლექტივში, რომლის მიხედვითაც, ყაჩაღობის შემადგენლობაში თავისებურად არის ჩამოყალიბებული მისი ისეთი დამამძიმებელი გარემოება როგორცაა ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად. ამ მაკვალიფიცირებელ გარემოებაში იგულისხმება ყაჩაღობის ჩადენა როგორც ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით, ისე მისი ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ.<sup>96</sup> გადაწყვეტილების მიხედვით მართალია ა.ა-ამ მ.თ.-ის დახმარებით განახორციელა სათაო ოფისში შეღწევა, თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ქმედების შემადგენლობის უშუალოდ განხორციელებაზე, და ამ ქმედების განმახორციელებელ სუბიექტზე. აღნიშნულ ამ საკითხზე საუბრობს თინათინ წერეთელი და თანამსრულებლად იგი არ მიიჩნევს პირს, ვინც მოქმედებს დანაშაულის ჩადენის დროს, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ

<sup>96</sup> ავტორთა კოლექტივი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, IV გამოცემა, 2011 წ. გვ.380.

ახორციელებს.<sup>97</sup> ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ ვინ ახორციელებს დანაშაულის უშუალო შემადგენლობას, ვინაიდან სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, ... ხოლო დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში რა შემთხვევაშიც კანონი გამოყოფს თანამონაწილის შემდეგ სახეებს, ორგანიზატორი, წამქეზებელია და დამხმარე. რაც შეეხება ჯგუფურ დანაშაულს, სსკ-ის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი, შესაბამისად იმისათვის რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს ჯგუფურ დანაშაულად საჭიროა გვეყვადეს ორი თანამსრულებელი, რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც პირი (ამსრულებელი) სხვა პირის დახმარებით (როგორც ეს წინამდებარე საქმეშია მოცემული) ჩაიდენს ამა თუ იმ ქმედებას, აღნიშნული არ შეიძლება შეფასდეს ქმედების ისეთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად, როგორცაა ჯგუფურობა. შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ შეფასდება მართებულად ამ საფუძვლების გათვალისწინებით.

განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობის შემთხვევაში მათი როლების გასამიჯნად ქართული სისხლის სამართალი იყენებს, ე.წ. დუალისტურ სისტემას. ეს სისტემა დანაშაულის პროცესში შესრულებული როლის მიხედვით, თითოეულ მონაწილეს განიხილავს ამსრულებლად ან თანამონაწილედ. (მისგან განსხვავდება ის სისტემა, რომელიც ეფუძნება ერთიანი ამსრულებლობის პრინციპს). ამ პრინციპის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომლის ქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, წარმოადგენს ამ დანაშაულის ამსრულებელს, მიუხედავად დანაშაულის ჩადენაში მის მიერ შეტანილი წვლილისა, რომელიც მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს). დღეს ქართულ ისევე როგორც გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებულია ე.წ. დუალისტური თეორია. <sup>98</sup> ამ თეორიის აქტუალურობა, ჩემი აზრით გამოწვეულია იმით, რომ დანაშაულის ჩადენაში პირის მიერ შეტანილი წვლილის გათვალისწინებლად მისი ამსრულებლად ჩათვლა გაუმართლებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში

<sup>97</sup> თინათინ წერეთელი -სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი II, 2007 წ. იხ.: გვ 135-137

<sup>98</sup> მერაბ ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი 2010 წ. გვ. 265

განსხვავდება პასუხისმგებლობის სიმძიმე და გარდა ამისა შესაძლოა ვისაუბროთ ზოგადად სასჯელის მიზნებზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის რეკუტაციაზე.

თანამონაწილეობასა და თანამსრულებლობას შორის გამიჯვნასთან მიმართებით მეტად საინტერესოა მაგალითი რომლის მიხედვითაც, პეტრე და პავლე წავიდნენ ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის მიზნით, პეტრე დადგა კორპუსის შესასვლელთა, ხოლო პავლე კი შევარდა ბინაში და სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მოითხოვა ნივთის გადაცემა. ამ შემთხვევაში ყაჩაღობის ამსრულებელია ის, ვინც თავს დაესხა მოქალაქეს და სიცოცხლისათვის საშიში მუქარით მოსთხოვა ნივთი. მეორე პირი კი რომელიც მას ელოდება, არის თანამონაწილე, კერძოდ, ფიზიკური ან ფსიქიკური დამხმარე, რადგან მას ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის (თავდასხმის) არცერთი ნიშანი არ განუხორციელებია. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პეტრემ და პავლემ მოტყუებით მოახერხეს ბინაში შესვლა და თუ პეტრემ მოითხოვა მოქალაქისგან მისი მოძრავი ნივთის გადაცემა და პავლემ მის გვერდით იდგა და ხმას არ იღებდა ეს ვითარება უნდა ჩაითვალოს თანამსრულებლობად. საქმე ისაა რომ ყაჩაღობა რის ფორმალური დანაშაული კერძოდ მისი დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია მხოლოდ თავდასხმის განხორციელება სხვისი ნივთის დაუფლების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან სახეზე იყო ძალადობის მუქარა და ეს ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშანია, ვინაიდან დაზარალებული ხედავს, რომ მის წინააღმდეგ ორი თავდამსხმელია სახეზე და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას რომელი მათგანი ემუქრება მას ვინაიდან დაზარალებულის ნების პარალიზებას იწვევს ორივე თავდამსხმელი.<sup>99</sup>

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი საქმე, რომელიც მოიცავდა სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველია, რადგან გადაწყვეტილებაში დასმული საკითხი აზრთა სხვა და სხვაობას იწვევს, არა მხოლოდ ქართულ არამედ სხვა ქვეყნების სისხლის სამართალშიც.

პრობლემის თვალსაჩინოებისათვის მეტად საინტერესოა, განვიხილოთ კიდევ ერთი საქმე, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის

---

<sup>99</sup> ამერიკის იურისტთა ასოციაცია - სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისთვის, , გვ.36-37. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015.



სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 15 ივნისის განჩინება, (საქმის N 23-6კოლ.-05), აღნიშნულის მიხედვით 5 პირი, თბილისის სალქო სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულნი არიან სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 აწილის „ა“, „ვ“, და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის რაც გულისხმობს მძევლად ხელში ჩაგდებას, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის მიერ, ანგარებით და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით სასამართლომ ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს სასჯელის ზომად განუსაზღვრა: ჯ.ა-ეს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით; ზ.ტ-ეს 10 წლის, გ.ჯ-ეს 1 წლითა და 6 თვის ვადით, ტ.კ-ეს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით; ა.დ-ნს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მსჯავრდებულები სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელს იხდიდნენ მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. განაჩენის მიხედვით მათი დანაშაული გამოიხატა შემდეგში, ჯ.ა-ემ და ტ.კ-ემ, გ.ჯ-ემ, ა.დ-მა და ზ.ტ-ემ 2003 წლის იანვარში მოილაპარაკეს, გაეტაცებინათ ზ.ჯ-ია ანგარების მოტივით მძევლად ჩაეგდოთ ხელში, აღკვეთათ მისთვის თავისუფლება და გათავისფლების სანაცვლოდ მისი ოჯახის წევრებისათვის გამოეძალათ ფული.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2003 წლის იანვარში მათი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გ.ჯ-ემ მოქალაქე ხ-ისაგან შეიძინა „ვაზ-2106“ მარკის, მუქი ლურჯი ავტომანქანა, რომლითაც წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, გატაცებული ზ.ჯ-ია უნდა გადაეყვანათ ტ.კ-ის მიერ სპეციალურად ამ დანაშაულის ჩასადენად ნაქირავებ ბინაში- ქ. თბილისში, ამასთან ზ.ჯ-ას გატაცებისათვის ხელსაყრელი ვითარების შესწავლის მიზნით ჯ.ა-მე და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი ზემოთ ჩამოთვლილი პირები, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, 2003 წლის თებერვლიდან ხსენებული ავტომანქანით დაჰყვებოდნენ მას ქ. თბილისში რა დროსაც დააფიქსირეს რომ, ზ.ჯ-ია თავის კუთვნილ ავტომანქანა ვაზ-2107ს, აჩერებდა თავისი საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარე ავტოფარეხში, საიდანაც დილით მიდიოდა ვაკეში მდებარე ოფისში, სადამოს კი ბრუნდებოდა სახლში.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ჯ.ა-მე, ტ.კ-მე, გ.ჯ-მე და ზ.ტ-მე შეთანხმდნენ რომ გატაცება უნდა განეხორციელებინათ 2003 წლის 14 მარტს, დილის საათებში, როდესაც ზ.ჯ-ია ავტომანქანით გაემართებოდა სასახურისაკენ, რაც შეეხება ა.დ-ნს მოლაპარაკებისამებრ იგი შემდგომ დარაჯად უნდა დადგომოდა თავს თავისუფლება აღკვეთილ ზ.ჯ-ას. შეთანხმების თანახმად 2003 წლის 14 მარტს დაახლოებით 10 საათზე ჯ.ა-მე და

დანაშაულებრივი ჯგუფის ზემოხსენებული წევრები შეიკრიბნენ ფ.ჯ- ას საცხოვრებელი სახლის შორიახლოს, - ქუჩაზე და შეარჩიეს ადგილი, საიდანაც დაინახავდნენ როგორც ზ.ჯ-ს საცხოვრებელი კორპუსიდან გამოსვლას ისე მის მიერ ავტოფარეხიდან მანქანის გამოყვანის მომენტს, იმავე დილით დაახლოებით 30 წუთში ზ.ჯ-ია გავიდა სახლიდან ქუჩაზე არსებული ავტოფარეხიდან გაიყვანა თავისი კუთვნილი, ზემოთ ხსენებული მანქანა, ამ დროს ჯ.აძე, ტ.კ ძე, გ.ჯ- ძე და ზ.ტ-ძე აედევნენ მას და სთხოვეს გაეჩერებინა ავტომანქანა, მათ ანახეს შემთხვევით ნაპოვნი პოლიციის თანამშრომლის მოწმობა იმის დასტურად რომ ისინი იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. მასთან მივიდნენ ზ.ტ- ძე და გ.ჯ ძე რომლებმაც ფიზიკურად ძალადობით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით იმიტაციით აიძულეს იგი არ ეყვირა წინამდებობა არ გაეწია. ჩაჯდა უკანა სავარძელში რის შემდეგაც მათ მოუსპეს თავისუფლად მოძრაობისა და გადაადგილების საშუალება, თავზე ჩამოაცვეს ქუდი, ე.წ. სკოჩით აუკრეს თვალები და წაიყვანეს წინასწარ ნაქირავებ ბინაში, ჯგუფის ერთ ერთმა წევრმა დაურეკა დაზარალებულის მამას და მოსთხოვა 10 დღის ვადაში 3 მილიონი აშშ დოლარის მოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შვილის მოკვლით დაემუქრა. 20013 წლის 14 მარტიდან 20 მარტამდე მას პერიოდულად დარაჯობდნენ გ.ჯ-ძე და ა.დ-ნი, ასევე ზ.ჯ-სა და იქ მყოფი პირებისათვის საჭმელი მიჰქონდათ ჯ.ა-სა და ტ.კ-ეს.

გატარებული საგამომიებო ღონისძიებების შედეგად 2003წლის 20 მარტს დააკავეს - კ.ა-ძე, გ.ჯ-ძე, ტ.კ-ძე, ზ-ტძე და ა.დ-ნი ხოლო ზ.ჯ-ია გაათავისუფლეს.

სასამართლო კოლეგიის განაჩენის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო საჩივრებით მიმართე სჯავრდებულებმა: გ.ჯ-ემ, ტ.კ- ემ, ჯ.ა-ემ, ზ.ტ-ემ და მსჯავრდებულ ა.დ-ის დამცველმა, ადვოკატმა.

მსჯავრებულები: ზ.ტძე და ტ.კ-ძე თავიანთი საკასაციო საჩივრებით ითხოვდნენ მათი ბრალეულობის ნაწილში განაჩენის გაუქმებას და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მათ არ ჩაუდენიათ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

მსჯავრდებულები - ჯ.აძე და გ.ჯ- ძე თავიანთი საკასაციო საჩივრებით ითხოვდნენ მათი ბრალეულობის ნაწილში განაჩენის გაუქმებას და მათ მიმართ საქმის დაბრუნებას ხელახლა განსახილველად, რათა ჩატარდეს მტკიცებულების ობიექტური გამოკვლევა მათი ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად.

მსჯავრდებულ ა.დ-ის დამცველი ადვოკატი, თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს ამ მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის

შეწყვეტას იმ საფუძვლით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. საბოლოოდ ჯ.ას-ს ადვოკატება დააზუსტეს მოთხოვნა და მოითხოვეს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია აღნიშნული ქმედება.

პროკურორმა არ დაუჭირა მხარი აღნიშნულს და მოითხოვა რომ განაჩენი დარჩენილიყო უცვლელად. პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა, მოუსმინა მხარეებს და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გამოძიების მასალებით სარწმუნო არის დადგენილი ის გარემოება, რომ მსჯავრდებულები ჯ.ა-ძე, ზ.ტ-ძე, გ.ჯ-ძე და ტ.კ-ძე ნამდვილად მონაწილობდნენ დაზარალებულ ზ.ჯ-ას გატაცებასა და მძევლად ხელში ჩაგდებაში, მისი ოჯახისგან მშობლებისგან დიდი რაოდენობის ფულის გამოძალვის მიზნით, რაც დადასტურებულია დაზარალებულ ზ.ჯ-ას მოწმეების ჩვენებებით, ასევე ნაწილობრივ თვით მსჯავრდებულების ჩვენებებით.

აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პალატა მიიჩნევს რომ ისინი ახორციელებდნენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, კერძოდ, მძევლად ხელში ჩაგდების დაგეგმვის, მომზადებისა და სისრულეში მოყვანის მიზნით, შესაბამისად პალატამ არ გაიზიარა მსჯავრდებულებისა და მათი დამცველების მიერ წარმოდგენილი პოზიცია რომლის მიხედვითაც მათ არავითარი ბრალი არ მიუძღვით დაზარალებულის გატაცებასა და მძევლად ხელში ჩაგდებაში.

მსჯავრდებული (ჯ.ა-ე) ავითარებს ვერსიას იმის თაობაზე, რომ ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ინსცენირება იყო მძევლად ხელში ჩაგდებისა, რაც განხორციელდა პირადად მასთან შეთანხმებით და მისივე მონაწილეობით, მაგრამ მის ასეთ პოზიციას აქარწყლებდა გარემოება რომ ბინაში სადაც მსჯავრდებულებს მიყვანილი ჰყავდათ ზ.ჯ-ა, ამ უკანასკნელს თავზე ადგა და მეთვალყურეობდა გ.ჯ-ძე, გარდა ამისა ზ.ჯ-სთვის თავისუფლების შესაზღუდად გამოყენებული იყო ხელბორკილები.

ამრიგად, პალატამ სასამართლო კოლეგიის განაჩენი მიიჩნია დასაბუთებულად და კანონიერად, ჯ.ა-ის, ფ.ტ-ის, გ.ჯ-ის და ტ.კ-ის მიერ ჩადენილი ქმედებების კვალიფიკაციის ნაწილში, რაც შეეხება მსჯავრდებულ ა.დ-ის მიმართ იმავე ქმედების ჩადენის ბრალდებას, პალატამ ამასთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ სასამართლო გამოძიების შედეგებით, ა.დ-ს მონაწილეობა დაზარალებულის გატაცებასა და მძევლად ხელში ჩაგდებაში

არ დადასტურდა, რადგან ამისათვის საკმარისი მტკიცებულებები ვერ იქნა მოპოვებული, მიუხედავად ამისა ა.დ-მ ნამდვილად იცოდა, რომ მსჯავრდებულები ამზადებდნენ დაზარალებულის გატაცებასა და მძევლად ხელში ჩაგდებას. მას ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ შეეტყობინებინა შესაბამისი ორგანოებისათვის აღნიშნული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების თაობაზე, რაც არ გააკეთა. ამის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ ა.დ-ს უნდა მოეხსნას სსკ -ს 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე წარდგენილი ბრალდება დაზარალებულ ზ.ჯ-ს მძევლად ხელში ჩაგდების თაობაზე და მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 376-ე მუხლით, როგორც შეუტყობინებლობა იმისა, რომ მზადდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და მას სასჯელის ზომა ამ მუხლის სანქციით გათვალისწინებულ ფარგლებში უნდა განესაზღვროს.

აღნიშნული გადაწყვეტილება, არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ თანაამსრულებლობა/თანამონაწილეობის საკითხთან მიმართებით კვალიფიკაციის პრობლემები მეტად აქტუალური იყო და არის ქართული სისხლის სამართლის რეალობაში.

## 2.9. პრობლემის გადაჭრის გზები

იმისათვის, რომ თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობისას, სწორად მოხდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, ჩადილ დანაშაულში, რა სახის არის მისი წვლილი და რამდენად შეიძლება რომ იგი ჩაითვალოს ამსრულებლად (თანაამსრულებლად), ამასთან, ხომ არ გვაქვს სახეზე ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარისთვის დამახასიათებელი მოქმედება (თანამონაწილეობა).

საკითხის გასამიჯნად და გარკვეული ერთიანი პრაქტიკის დასამკვიდრებლად, მნიშველოვანია კიდევ ერთი გადაწყვეტილება, კერძოდ საქარველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 24 დეკემბრის, განჩინება საქმეN 2კ-599აპ.-09, ქობულეთის რაიონულისასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენით გ.კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილია „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 42-ე მუხლის მე-ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 6000 ლარი. სსკ-ის 192 ე მუხლის 1 -ლი ნაწილით- 2 წლით

თავისუფლების აღკვეთა სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -4 000 ლარი.

განაჩენით, მსჯავრდებული გ.კ-მის მიერ ჩაენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: გ.კ-მე რომელიც იყო სამომხმარებლო კოოპერატივის ერთ-ერთი მეპაიე და ამავე საწარმოს მართვის უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელთა კრების წევრი, 2005 წლის მარტში, თავის ძმასთან - ზ.კ-სთან ერთად, სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძინა სამომხმარებლო კოოპერატივის კუთვნილი, დაბა ჩ-ში მდებარე უძრავი ქონება 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული 651 კვ.მ შენობა 40000 ლარად, რაზდაც 2005 წლის 17 ოქტომბერს მის ძმას- ზ.კ-მეს და ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელ ლ.მ-მეს შორის გაფორმდა ნოტარიულად დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება 2 წლიანი გადახის განვადებით, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულ იქნა ზ.კ-მის სახელე.

2005 წლის დეკემბერში, როცა გ.კ-მეს ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივისთვის გადახილი ჰქონდა განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან 40000 ლარიან მხოლოდ 13500 ლარი მისთვის ცნობილი გახდა რომ იწყებოდა ცეკავშირისა და ცეკავშირის სისტემის კოოპორგანიზაციის ქონების აღწერის და სახელმწიფოსთვის გადაცემის პროცესი. ამ პერიოდში გ.კ- მეს სამეწარმეო საქმიანობის გაფართოების მიზნით გადაწყვეტილი ჰქონდა სააქციო საზოგადოება „პროკრედიტბანჯის“ ბათუმის ფილიალიდან კრედიტის აღება ახლად შექმნილი უძრავი ქონების, იპოთეკით დატვირთვის საფუძველზე.

ქონების აღწერისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის დროს განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის 4 0000 ლარის სრულად გადაუხდელობის მოტივით ნასყიდობის ხელშეკრულების შესაძლო ბათილად ცნობისთვის თავის დაზღვევისა და ბანკიდან იპოთეკური სესხის აღების გაადვილების მიზნით გ.კ-მემ განიზრახა 2 წლიანი გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დარჩენილი გადაუხდელი ნაწილის 26500 ლარის ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივზე 2006 წლის იანვრისთვის საგადასახადო და ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი საბუთის დამზადება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, გ.კ-მემ ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯომარეს ტ.ფ-ს შესთავაზა ყალბი სალარო შემოსავლის ორდერის დამზადება. 2006 წლის 4 იანვარს, ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივის

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ.ხ-მა, გამგეობის თავმჯდომარის ტ.ფ-ს დავალებით, გ.კ-ის გამოუწერა სალაროს შემოსავლის ორდერი 1, რომ თითქოს გ.კ-ის ძმამ ზ.კ-ემ ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივის სალაროში, 2006 წლის 4 იანვარს შეიტანა 2 წლიანი გადასახადის, განვადებით ნასყობიბის დარჩენილი ნაწილი. რაც კოოპერატივის თავმჯდომარემ დაამოწმა სათანადო ბეჭდით, რომლის მეორე ნაწილი ქვითარი გადაეცა გ.კ-მეს.

გ.კ-მე ამასთან იყო შპს „ჩაის სახლის“ დირექტორი, რომლის საქმიანობა იყო ამავე საწარმოს კუთვნილი ბიზნესგასამართი სადგურიდან ნავთობპრუდუქტებით ვაჭრომა. 2007 წლის 22 ნოემბრიდან 2008 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით იგი ეწეოდა სამიშ საწარმოო ობიექტებთან დაკავშირებულ საქმიანობას ექსპლუატაციის ნებართვის გარეშე რასაც ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ამასთან მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა ქარხნული წესით დამზადებულ საბჭოთა წარმოების კალაშნიკოვის კონსტრუქციისა და სხვა მსგავსი ტიპის იარაღებს. მსჯავრდებული გ.კ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი, ე.მ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას. კერძოდ: გ.კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 263-ე მუხლი პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის შემცირებას, ხოლო 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო: გ.კ-მემ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, ასევე სამეწარმეო საქმიანობა ნებართვის გარეშე, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით თანხის მიღება, თუმცა საკასაციო პალატა არ დაეთანხმა გ.კ-ის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციას და თვლის რომ დანაშაული ჩადენილია არა ჯგუფურად, არამედ თანამონაწილეობით, ვინაიდან, საქმის მასალების მიხედვით, გ.კ-მემ ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივი თავმჯდომარეს ტ.ფ-ს შესთავაზა ყალბი სალაროს შემოსავლის ორდერის დამზადება. ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილემ გ.ხ-მა, გამგეობის თავმჯდომარის ტ.ფ-ს დავალებით, გ.კ-ის გამოუწერა სალაროს შემოსავლის ორდერი 1, რა დროსაც გ.კ-ე იყო არა ამსრულებელი არამედ წამქეზებელი, ვინაიდან მისი დავალებით ტ.ფ-მ და გ.ხ-მა ჩაიდინეს ყალბი საგადასახადო ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაღების მიზნით დამზადება რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, შესაბამისად საქმის მასალებისა და

კანონმდებლობაზე დაყრდნობით გ.კ-მემ დანაშაული ჩაიდინა თანამონაწილეობით, სადაც ის არის არა ამსრულებელი, არამედ წამქეზებელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთი პრაქტიკული მაგალითია იმისა, თუ რაოდენ პრობლემურია წინამდებარე საკითხი ქართულ სისხლის სამართალში, თუმცა იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს იმის იდენტიფიცირება თუ რა შემთხვევაშია სახეზე თანამონაწილეობა და რა შემთხვევაში თანაამსრულებლობა, უმნიშვნელოვანესია იმ ქმედების ფარგლების განსაზღვრა რაც ამა თუ იმ პირმა კონკრეტული ქმედების ჩადენისას განახორციელა, ვინაიდან როგორც აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს მისი მოქმედება არ გამოხატულა ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულში, ვინაიდან ამ შემთხვევაში მისი მოქმედება არ იყო ამსრულებლის მიერ განხორციელებული ქმედება სადაც იგი უშუალოდ ჩაიდენდა დანაშაულს, ასევე სახეზე არ იყო შუალობითი ამსრულებლობა, არამედ მან წააქეზა სხვა პირები (ტ.ფ და გ.ხ) რომ საგადასახადო და ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაღების მიზნით დამზადება, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

### 3. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხის გამიჯვნა, მართლაც მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია სისხლის სამართალში, წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილეთ არაერთი საქმე, როდესაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხის გამიჯვნის პრობლემის რეალურობა.

როგორც უკვე აღვნიშნე, საკითხის სწორად გადაწყვეტას პირდაპირი კავშირი აქვს დანიშნულ სასჯელთან და საბოლოოდ სასჯელის მიზანთან. იმისათვის რომ სამართლიანად მოხდეს სასჯელის შეფარდება, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა დადგინდეს პირის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათი და ამასთან მისი კავშირი სხვა პირების მიერ განხორციელებულ ქმედებასთან.

აღნიშნული საკითხის სწორად გადაწყვეტისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთობლივად რამდენიმე კომპონენტზე, კერძოდ, ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით, აუცილებელია სწორად დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი პირის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს

შორის. ამასთან აუცილებელია ბრალის არსებობა. თუმცა საბოლოოდ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ცნებების გამიჯვნისას, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია პირის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათი, ვინაიდან იგი პირდაპირ კავშირშია კვალიფიკაციასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ ნებისმიერ პირს, რომელსაც შემხებლობა აქვს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებასთან, ჩავთვლით თანაამსრულებლად, ეს პიროვნებას ჩააყენებს არსებითად არასამართლიან და არალოგიკურ მდგომარეობაში, ვინაიდან, კონკრეტული შემადგენლობის განხორციელებისას, პირის მონაწილეობის ხარისხის მიუხედავად, ქმედების ერთნაირი კვალიფიკაციისას გასათვალისწინებელია, როგორც სასჯელის მიზნები, ამასთან მნიშვნელოვანია უშუალოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის რეპუტაცია, რომელსაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქმედება, რომელიც მან განახორციელა. შესაბამისად, აუცილებელია მსგავსი შემთხვევების არსებობისას, ყურადღება გამახვილდეს არა იმაზე, რომ პირს შემხებლობა ჰქონდა ქმედების შემადგენლობასთან, არამედ იმაზე, თუ კონკრეტულად რა სახის შემხებლობა იყო სახეზე, ანუ ახორციელებდა თუ არა იგი ქმედებას უშუალოდ, აქტიური მონაწილეობით, შესაბამისად იყო თანაამსრულებელი, თუ მხოლოდ თანამონაწილისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ მოქმედებას ახორციელებდა. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ პირი უშუალოდ, აქტიური მოქმედებით არ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას და მისი ქმედება კონკრეტული დანაშაულის მოწყობაში ან განხორციელების ხელმძღვანელობაში გამოიხატა, აგრეთვე თუ პირმა დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩადენაში, ან ხელი შეუწყო მის მოქმედებას, საქმე გვაქვს არა თანაამსრულებლობასთან, არამედ თანამონაწილეობასთან, ვინაიდან მან განახორციელა დანაშაულის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, კერძოდ წააქეზა ხელი შეუწყო და ა.შ., თუმცა ამ შემთხვევაში აღნიშნული პირი თავისი ქმედების ხასიათიდან გამომდინარე არ არის ქმედების ცენტრალური ფიგურა, სუბიექტი რომლის ქმედებამაც უშუალოდ გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი.

საბოლოოდ წინამდებარე ნაშრომში განხილული გადაწყვეტილების, დოქტრინაში განხილული მოსაზრებებისა და სხვა ქვეყნების მიდგომებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის საკითხის განხილვა მართლაც პრობლემური საკითხია რომელთან დაკავშირებითაც არსებობს არაერთი მოსაზრება და იმისათვის რომ სწორად მოხდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს, ქმედების შემადგენლობის უშუალო განხორციელებასა და ამ ქმედების



განმახორციელებელ სუბიექტზე, ვინაიდან თუ ნებისმიერი პირს, რომლის ქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, მივიჩნევთ დანაშაულის ამსრულებლად, მიუხედავად დანაშაულის ჩადენაში მის მიერ შეტანილი წვლილისა, ეს არსებითად დიდ პრობლემას წარმოშობს როგორც სასჯელის მიზანთან ასევე ბრალდებულის ინტერესებთან მიმართებით. არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება გაზიარებული იქნას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ყველა პირი კონკრეტულ ქმედებაში თანამსრულებელია, მიუხედავად მისი როლისა, ქმედების ხასიათისა და იმისა დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია უშუალოდ მისმა ქმედებამ თუ არა. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი მიდგომა არსებითად აზრს დაუკარგავს თანამონაწილეობის ცნებას, მაშინ როდესაც თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის გამიჯვნასთან მიმართებით, საქარველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სწორედ ქმედების უშუალო განმახორციელებლის როლი და მოცულობა განსაზღვრავს ქმედება თანამსრულებლობითაა ჩადენილი თუ თანამონაწილეობით და შესაბამისად განსხვავებულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს მათ მიმართ.

### აბრევიატურა:

#### ქართულად:

- სსკ- სისხლის სამართლის კოდექსი
- ა.შ. - ასე შემდეგ
- ე.წ. - ეგრეთ წოდებული
- სხვ. - სხვა
- იხ. - იხილეთ
- შეად. - შეადარეთ

#### ინგლისურად:

- JCE- Joint Criminal Enterprise
- ICC – International Criminal Court
- ICTY - International Criminal Tribunal for the former Yugoslavia

## ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული მასალა:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

### ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ავტორთა ჯგუფი - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016
2. ავტორთა ჯგუფი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II წიგნი, მე-5 გამოცემა, თბილისი 2017 წელი
3. ავტორთა ჯგუფი - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი 2012 წელი
4. ამერიკის იურისტთა ასოციაცია - სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისთვის, , გვ.36-37. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015.
5. გამყრელიძე ოთარ - სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემები და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, სისხლის სამართლის პრობლემები, მეორე გამოცემა, ტომი II, თბილისი 2013
6. გამყრელიძე ოთარ - დანაშაულის შუალობითი ამსრულებობა და თანაამსრულებობა თბილისი 1974 წელი
7. თოდუა ნონა - სისხლის საართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), თბილისი 2015 წელი
8. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქეთევან, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011 წელი,
9. ტურავა მერაბ - დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წელი,
10. ტურავა მერაბ - სისხლის სამართალი, ზოგადი მიმოხილვა, მე-9 გამოცემა

11. წერეთელი თინათინ - სისხლის სამართლის პრობლემები ტომი II, გამომცემლობა მერიდიანი 2007 წ
12. წერეთელი თინათინ თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1965 წელი
13. ხუბუა გიორგი - სამართლის თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, 2004

**სადისერტაციო ნაშრომი:**

- გვენცაძე ელენე - დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014 წ. გვ 47
- დგებუაძე გიორგი - დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თბილისი, 2017 წელი.

**სასამართლო გადაწყვეტილებები:**

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის, 2009 წლის 24 დეკემბრის განჩიება, საქმის ნომერი: 2კ-599აპ.-09
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის, 2005 წლის 15 ივნისის განჩინება, საქმის ნომერი: კ-6კოლ,-05
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლოს საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ივლისის განჩინება N128აპ-17

**უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:**

- Cassese Antonio – International Criminal Law, Oxford University Press, 2003
- Werle Gerhard - Principles of International Criminal law, 2007
- William A. Schabas - An Introduction to the International Criminal Courts, Thir Edition, Cambridge, university press, 2017
- Triffterer Otto, Ambos Kai – Rome Statue of the International Criminal Court, Third Edition, C.H. Beck. Hart. Nomos, Third Edition, 2016
- Коментарии к уголовному кодексу Росииской Федераций А.В Наумов - 1997

**უცხოენოვანი ნორმატიული მასალა:**

- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება

ელექტრონული რესურსები:

<http://www.dgstz.de/storage/documents/ecXTSuC7q4kdNtocOPix83DBwhUVKScUDIRfxIXo.pdf>

[https://www.law.cornell.edu/wex/sui\\_generis?fbclid=IwAR1XyQImKEs\\_Wad25SUVeABfFokB5I8GYIG28CaSNSMFzsZ7fyZbzs9I98](https://www.law.cornell.edu/wex/sui_generis?fbclid=IwAR1XyQImKEs_Wad25SUVeABfFokB5I8GYIG28CaSNSMFzsZ7fyZbzs9I98)